ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი,
15 მაისი,
1990 წ.
№ 52 (11538)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველი მოსწავლეები — ამერიკის „კოსმოსური ბანაკის“ სტუმრები

**ნიუ-იორკი, 14 მაისი.** საქდესის კორესპონდენტი ა. შიტოვი გვატყობინებს: კვირას საბჭოთა საქართველოს რვა მოსწავლე გახდა ქალაქ ჰანტსვილის (ალაბამის შტატი) ჯორჯ მარშალის სახელობის კოსმოსური ფრენის ცენტრის სტუმარი. ერთი კვირის მანძილზე ისინი თავიანთ 12 თანატოლთან ერთად ჯორჯიის შტატიდან იცხოვრებენ ცენტრის გვერდით გაშლილ „კოსმოსურ ბანაკში“ და გაეცნობიან კოსმოსური სივრცის კვლევის ამერიკულ პროგრამას. მათ მოელით საინტერესო ექსკურსიები, ვარჯიში ტრენაჟორებზე, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში იყენებენ ასტრონავტების მომზადებისას, „შატლის“ ტიპის კოსმოსური ხომალდით ფრენის იმიტაცია.

საბჭოთა და ამერიკელი ბავშვები ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა ხელმძღვანელის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტ რ. რეიგანს შორის უმაღლეს დონეზე მოსკოვის ისტორიული შეხვედრის შემდეგ „სახალხო დიპლომატიის“ აყვავების წყალობით. ამ შეხვედრის დროს მიღწეულმა მორიგებამ დასაბამი მისცა სხვადასხვა დონეზე გაცვლის ფართო პროგრამას. მის ფარგლებში დამყარდა მეგობრული კავშირ-ურთიერთობა საქართველოსა და ჯორჯიას შორის: საქართველოს რესპუბლიკისა და ამერიკის შტატის სახელწოდებანი ინგლისურად სრულიად ერთნაირად წარმოითქმის.

აპრილის დამლევს თბილისიდან მასთან დაძმობილებულ ჯორჯიის ადმინისტრაციულ ცენტრში — ატლანტაში ჩამოვიდა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლობითი დელეგაცია. ამავე დროს საქართველოს დედაქალაქში ჩავიდა ამერიკის შტატის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი. ორივე მხარეს ვიზიტების ეს გაცვლა მიაჩნია პირველ წინგადადგმულ ნაბიჯად ყოველმხრივი თანამშრომლობის გზაზე.

## ჩინელ ახალგაზრდობასთან სოლიდარობის ნიშნად

12-13 მაისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ჩინელ ახალგაზრდობასთან სოლიდარობის აქცია, რომელიც აღნიშნავს პეკინის ტიანანმენის ცენტრალურ მოედანზე სტუდენტთა დახვრეტის წლისთავს. გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოქვეყნდა ჰარვარდის უნივერსიტეტის მოწოდება ყველა ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი, მხარი დაუჭირონ ჩინეთის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც ხელისუფლების თვითნებობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძვიან. აქციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა. ათობით სტუდენტმა მოაწყო ერთდღიანი სიმბოლური შიმშილობა.

საქინფორმი





წილკნის ეპარქიაში შიდა ცხინვალის მართლმადიდებლური ღვთისმშობლის ეკლესია. 1990 წლის 13 მაისს მეუფე ზოსიმემ ოფიციალურად აკურთხა ღვთისმშობლის ტაძარი და წირვა ჩაატარა.

დავით მგელაძის ფოტოები

## დღეს იხსნება საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა

## უპირველესად გვჭირდება ნდობა

საუბარი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებთან.

იხ. მე-2-3 გვ.

## საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობისათვის

# უპირველესად გვჭირდება ნდობა

**დღეს იხსნება საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა. ამასთან დაკავშირებით, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებს — ტრისტან ლაბარტყავას, ამირან თავართქილაძესა და გოგი მაჭაცარაშვილს ვთხოვეთ პასუხი გაეცათ ჩვენს რამდენიმე კითხვაზე.**

**— გვინდა ჩვენს ინტერვიუს დავარქვათ „საუბარი რიგით პარტიულ ფუნქციონერებთან". თქვენ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?**

**ტრისტან ლაბარტყავა** — არავარ წინააღმდეგი.

**ამირან თავართქილაძე** — კი, ბატონო.

**გოგი მაჭაცარაშვილი** — დღეს სიტყვა პარტიული „ფუნქციონერი" ბევრის მიერ აღიქმება, როგორც ადამიანი, რომელიც იდეოლოგიური პრესინგისა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლობის პირობებში მოქცეულია ვიწრო ჩარჩოებში და ავტომატურად ასრულებს ზემდგომის თითქმის ყოველგვარ ნებას. თავის დროზე, ალბად ეს ასე იყო და ინერციის შედეგად ნაწილობრივ ეს ახლაც გრძელდება. მაგრამ ამჟამინდელი სიტუაცია პარტიაში აღარ ჰგავს ძველს. თუ ადრინდელი ფუნქციონერი „უვარგისი" ხელმძღვანელობის პირობებში თვითონაც ავტომატურად ხდებოდა იგივე პოლიტიკის გამტარებელი, დღეს საკუთარი პოზიციის გამოხატვის და დაცვის ფართო შესაძლებლობა არსებობს. ამიტომ მიმდინარე ცვლილებების შედეგად სიტყვა „პარტიული ფუნქციონერი", ჩემი აზრით, თანდათან კარგავს თავის „აქტუალობას".

**— თქვენის აზრით, რა არის კომპარტიაში არსებული კრიზისის მიზეზი, და თუ გჯერათ, რომ შესაძლოა მისი დაძლევა?**

**ტ. ლ.** — კომუნისტურ პარტიაში წარმოშობილი კრიზისის მიზეზია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის გაყალბება, მისი განქიქება, თვით პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ, რაც უდიდესი დანაშაულია საბჭოთა კავშირის ხალხების მიმართ, იმ თაობების მიმართ, რომლებმაც თავი შესწირეს სოციალისტური საზოგადოების ნათელი ტაძრის მშენებლობას. ყველაფერმა ამან წარმოშვა რწმენის დაკარგვა როგორც ახალგაზრდებში, ისე ხნოვანებაშიც. რა თქმა უნდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობის პროცესში მეტნაკლებად შეცდომებიც იქნებოდა, რომლის პირუთვნელი კრიტიკა საჭიროც იყო, მაგრამ არა ცილისწამება და ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. დღეს მსოფლიოში არ არსებობს არცერთი პარტია, ის მმართველია თუ მაძიებელი, რომელსაც თავისი შინაგანი წინააღმდეგობანი და საიდუმლოებანი არ ჰქონდეს, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი არ გამოსულა და უყვირია, რომ „დედაჩემი მეძავიაო!" ეს მხოლოდ ჩვენმა პარტიამ გააკეთა. მართალია ჩვენ მუდამ უნდა ვამოწმებდეთ ჩვენს თავს, უნდა ვსწავლობდეთ პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვს მთლიანად, მათ მიზეზობრივ კავშირს, მათს შედეგებს. გუშინდელი დღის შეცდომების ანალიზით ჩვენ უნდა ვისწავლოთ შეცდომების თავიდან აცილება დღეს და ხვალ. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ლენინი წერდა: „შეცდომის აშკარად აღიარება, მისი მიზეზების გამორკვევა, მისი გამომწვევი ვითარების ანალიზი, შეცდომების გამოსწორების საშუალებათა ყურადღებით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავისი მოვალეობათა შესრულება, ეს არის კლასის, ხოლო შემდეგ აგრეთვე მასის აღზრდა და სწავლება" (თხზ. ტ. 31. გვ. 52). როგორ ფიქრობთ, როგორი სწავლება გამოუვიდა ჩვენს პარტიას კრიტიკისა და მეცნიერული ანალიზის ნაცვლად, როდესაც გადავიდა თვითგანქიქებაზე და გაყალბებაზე? მასების აღზრდისა და გააქტიურების ნაცვლად, მივიღეთ მათი აპათია, რწმენის დაკარგვა.

კრიზისის დაძლევისათვის დროა საჭირო. პარტიამ უნდა დაამტკიცოს თავის ერთგული შრომით, რომ ის მართლაც ხალხის პარტიაა. მხოლოდ დიდი ენერგიის დაძაბვით, პარტიის ინტელექტუალური ძალების მობილიზაციის დახმარებით შესძლებს ერთადერთი სწორი პოლიტიკის მიგნებასა და შემდგომში მუშაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებასა და მის უცილობელ გატარებას. აი გზა, რომელიც მიმაჩნია, რომ პარტიას კრიზისულ მდგომარეობიდან გამოიყვანს. რაც შეეხება იმ გზას, დღეს რომ მივდივართ, მას თვითლიკვიდაციამდე მივყავართ.

**ა. თ.** — ძნელია ორიოდე სიტყვით განსაზღვრო მიზეზი. მე ვიტყოდი ალბათ მიზეზთა მთელი წყებაა, რომელსაც სერიოზული შესწავლა დასჭირდება. უმთავრესი კი ჩემის აზრით ის არის, რომ კომპარტია არსებულ სისტემაში გაიგივებული იყო სახელმწიფოებრივ მმართველობით ფორმასთან. ერთმა პარტიამ შეითვისა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ყველა საფეხური—ყველა სფერო, პოლიტიკაც და ეკონომიკაც, საზოგადოებრივ-ეროვნული ურთიერთობანი და კულტურაც. შესაბამისად ეკონომიკურმა და სახელმწიფო კრიზისმა განსაზღვრა პარტიის კრიზისული მდგომარეობა. ვრცელდება აზრი, რომ დღევანდელი კრიზისი იმ შეცდომების ბრალია, რომელიც დაუშვეს სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა, საკითხებისადმი ადმინისტრაციულ ბიუროკრატიულმა მიდგომამ სხვა და სხვა. ეს აზრი მცდარად მიმაჩნია. არ იქნებოდა ის კონკრეტული შეცდომები, იქნებოდა სხვა ასეთივე შეცდომები. სწორედ ამით ავხსნი იმასაც, რომ ყოველი ახალი ხელმძღვანელი, ყოფილი „ბელადის" შეცდომების გამომზეურებასა და გამოსწორებას გვთავაზობდა. რეალურად კი არაფერი არ იცვლებოდა. ხშირად უგულვებელყოფილი იყო საერთო-სახალხო ინტერესების უზენაესობა, ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმა.

კიდევ ერთი — ავტორიტარულ-ბიუროკრატიულმა სისტემამ გარკვეულად შეუწყო ხელი ზნეობრიობის დეფიციტის შექმნას. პატრიოტიზმს ვერ დაიმსახურებ თუ არ გაემიჯნე უზნეობას. დიახ, უზნეობა იყო „ერთი კაცის" პიროვნული დიქტატი, რომელიც შემდგომ პარტიისა და ხალხის სახელით ხორციელდებოდა. უზნეობა იყო პიროვნული, ახლობლური, ძმაბიჭურ თუ ნათესავური კავშირებით პასუხისმგებელ თანამდებობებზე „არჩევის" თუ დანიშვნის პრინციპი. უზნეობა იყო ზოგიერთი პარტიის წევრის ორსახოვნება, საქმისა და სიტყვის დღისა და ღამის შესატყვისი განსხვავება.

უფრო ღრმად რომ ჩავიხედოთ, დავინახავთ, რომ ერთპარტიულმა დიქტატმა პრაქტიკულად უარყო ისტორიული ეპოქის შესატყვისი საფუძველი. მცდელობამ „დიდი ნახტომისა" კრიზისი გამოიწვია, კრიზისი, რომელიც თვით პარტიამ აღიარა, თუმცა დროულად რომ აღიარებულიყო, ბევრად უკეთესი იქნებოდა. საზოგადოების განვითარებას თავისი კანონები აქვს, ისტორიული პერიოდისა და ადამიანის გონებრივ-ფსიქოლოგიური განვითარების შესატყვისი. არ შეიძლება ხანგრძლივად შეაჩერო იგი ან „დიდი ნახტომით" გადაახტე მას.

დღეს ამ კრიზისის დაძლევის გზების ძიებაა, ბევრი ახალი და სალი აზრი ვითარდება. არაერთი საქმიანი მაგალითი, რომელიც უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიამ მოიმოქმედა, ამასაც შეფასება და დანახვა ჭირდება და არა ძველის გამო განქიქება. სწორედ, საქართველოს კომპარტიამ, ვგონებ, ერთადერთმა, შეიმუშავა ეროვნული განვითარების კონცეფცია.

კომპარტიის კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი გზა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის შექმნაშიცაა. თვით პარტიამ, თითოეულმა პარტიის წევრმა კარგად უნდა გაიაზროს მისი მომავალი როლიც და ადგილი საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**გ. მ.** — კომპარტიაში კრიზისი დღეს და გუშინ არ დაწყებულა. კრიზისი მაშინ დაიწყო, როდესაც ერთ დღეს კომუნისტური იდეოლოგიის პოპულარობით შეშფოთებულმა კაპიტალისტურმა სამყარომ გაითვალისწინა კრიტიკა მისი მისამართით, შეისისხლხორცა სოციალიზმის არაერთი მიმზიდველი დებულება, რითაც გაამდიდრა საკუთარი საზოგადოება. ამავე პერიოდში საკუთარი თეორიით შებოჭილი კომუნისტური პარტია კი თავს უფლებას არ აძლევდა „ყავლგასული" კაპიტალისტური სამყაროს პრაქტიკიდან გაემდიდრებინა საკუთარი გამოცდილება. კომუნისტური პარტია ხალხს კარგ ცხოვრებას პირდებოდა, რეალურად კი, სპორტული ენით რომ ვთქვათ, წააგო შეჯიბრება კაპიტალისტურ სამყაროსთან. დამარცხებულს კი ნაკლებად სწყალობენ. საჯაროობის პირობებში ეს ყოველივე განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა.

არსებული კრიზისის დაძლევა ისევ კომპარტიაზეა დამოკიდებული. მან უნდა შეძლოს დემოკრატიულ ვითარებაში ხალხის დარწმუნება, რომ იგი ბოლოს და ბოლოს ხალხის ფართო მასების რეალური, ცხოვრებისეული ინტერესების გამომხატველი გახდება. პირველი ნაბიჯები ამ თვალსაზრისით დემოკრატიის, საჯაროობის, თვითკრიტიკის (ზოგჯერ გადამეტებულითაც) დამკვიდრებით მან უკვე გადადგა, მაგრამ ეს არც ისე ბევრია იმ უარყოფითი განწყობილების გასანეიტრალებლად, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა. არის ერთი ფაქტორიც. რესპუბლიკაში შექმნილი მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი მოძრაობებიდან და პარტიებიდან ზოგიერთი, თავის მოქმედებაში წინდაუხედაობით, ათასჯერ დაგმობილი მეთოდების გამოყენებით საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ნერგავს რადიკალური ცვლილებებისადმი სიფრთხილეს. ეს კი თავის მხრივ კომპარტიას საშუალებას აძლევს კონკრეტული საქმეებით აღიდგინოს შელახული ავტორიტეტი.

**— დღეს ბევრს ლაპარაკობენ სკკპ-დან საქართველოს კომპარტიის გამოყოფის შესახებ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ზოგი იმასაც ამბობს, რომ პირიქით, ეს გამოიწვევს ინტერმოძრაობის (სკკპ პლატფორმაზე მყოფი ორგანიზაციის შექმნას) წარმოშობასო.**

**ტ. ლ.** — საქართველოს კომუნისტური პარტია კონფედერაციის უფლებით უნდა დარჩეს სკკპ-თა კავშირში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვარსებობდეთ დამოუკიდებლად, ჩვენს ბიუჯეტზე, კადრების საკითხის გადაწყვეტით, ჩვენთვის მისაღები სკკპ-ს დადგენილებათა განხორციელებით, ხოლო მიუღებლის უარყოფით, როგორც სკკპ-თან ისე სხვა რესპუბლიკების კომპარტიებთან პარიტეტული მდგომარეობით. რაც შეეხება სკკპ პლატფორმის შექმნის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის შიგნით პლატფორმებისა და ფრაქციების ჩამოყალიბების მომხრე ვარ, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ის შეუწყობს ხელს პარტიის ჯანსაღი და ინტელექტუალური ძალების გამრავლებას და მათში ნამდვილი ლიდერების აღზრდასა და ჩამოყალიბებას. ამავე დროს ხელს შეუწყობს პარტიაში მეტი დემოკრატიის განხორციელებას, მის შინაგან ძლიერებას, მისი ავტორიტეტის გაზრდას. რაც მთავარია, გზას გადაუღობავს უკანასკნელ ათწლეულებში გაბატონებულ ნაცნობ-მეგობრობით დაწინაურების მეთოდს, რამაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა ჩვენი პარტია.

**ა. თ.** — კითხვაზე პასუხი ყრილობამ უნდა გასცეს, მე დელეგატი არ გახლავართ, ყრილობა გადაწყვეტს რა და როგორ. ერთი რამ ცხადია, არ უნდა მოხდეს საქართველოს კომპარტიის გახლეჩვა, არავითარი ფორმით, არც ეროვნულ-ტერიტორიული და არც სხვა რაიმე პლატფორმების საფუძველზე. ყრილობამ ერთიანი აზრი, ერთიანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. შეიძლება ეს იყოს მხოლოდ ერთი ეტაპი პარტიის ევოლუციური გარდაქმნის, მაგრამ ეტაპი აუცილებლად გასასვლელი და საჭირო.

გვჭირდება კომპარტია, რომელიც იმოქმედებს საკუთარი წესდებისა და პროგრამის საფუძველზე სხვა პარტიებთან თანასწორი უფლებებისა, პლურალიზმის, საერთო სახალხო ინტერესების მიმართ პასუხისმგებლობის შეგრძნებით.

**გ. მ.** — საკავშირო კომპარტიიდან საქართველოს კომპარტიის გამოყოფა უთუოდ გამოიწვევს სკკპ პლატფორმაზე მყოფი კომპარტიის ანუ „პარტიული ინტერფრონტის" ჩამოყალიბებას, რომელზედაც საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიას გავლენა აღარ ექნება. თუ გვინდა, რომ საქართველოს კომპარტიამ საქართველოს ინტერესები დაიცვას, მან, ჩემი აზრით, ხელოვნურად არ უნდა შეუწყოს ხელი თავის დღევანდელ შემადგენლობაზე გავლენის დაკარგვას. საქართველოს სუვერენიტეტს საქართველოს კომპარტიის გამოყოფა ბევრს ვერაფერს შემატებს. აი, პარტიული ინტერფრონტის ჩამოყალიბებამ კი შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს. გარდა ამისა, სკკპ-ს დაშლის კიდევ ერთი ფაქტი უფრო გააძლიერებს ე. წ. კონსერვატორების პოზიციას, რომელთა გააქტიურებაც ბოლო დროისათვის განსაკუთრებით იგრძნობა.

კომპარტიის წევრთა ის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს კომპარტიის შექმნაში სამართლიანად ხედავს ავტორიტეტის ამაღლების რეალურ შესაძლებლობას, ალბათ ზემოაღნიშნულ საშიშროებასაც გაითვალისწინებენ და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელსაც მეტი სიკეთის მოტანა შეეძლება არა კონკრეტულად კომპარტიისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის.

**— როგორ უყურებთ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას?**

**ტ. ლ.** — განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალპარტიული სისტემა არამც თუ მისაღებელია, არამედ საჭიროც არის. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ სწორედ ასეთ პირობებში, მათთან დიალოგში უნდა დაამტკიცოს თავის სიცოცხლისუნარიანობა. ამისათვის კი საჭიროა, მას ჰქონდეს თავისი პოზიცია, რომელიც ჯერჯერობით არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მან შექმნა „ეროვნული განვითარების კონცეფცია", რომელშიც რამდენადმე გამოიკვეთა პოზიცია, ის მაინც ჯერჯერობით განაცხადად რჩება, და არავითარი პოზიტიურობა არ იგრძნობა. ამიტომ პასიურობისა და თვითდინებაზე მიშვებულობის პოლიტიკამ შექმნა შთაბეჭდილება, რომ პარტიას მოქმედების საკუთარი გეგმა და საკუთარი პრინციპები არ გააჩნია და მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებს ყოველწუთიერი კონიუნქტურის მიხედვით. პარტიის ხელმძღვანელთა აქტიურობა მაშინ ჩანს, როდესაც საზოგადოებრივი დაძაბულობა იქმნება და მხოლოდ იმას აკეთებს, რაც მოცემულ მომენტში დაძაბულობის მოხსნას სჭირდება. ერთი სიტყვით, მოქმედების არც სტრატეგია და არც ტაქტიკა მას არ გააჩნია. ეს კი პარტიას თვითლიკვიდაციამდე მიიყვანს, როგორც ამას ყოველწუთიერად ჩაგვჩიჩინებენ რადიკალურად განწყობილი ჯგუფები ან პარტიები. ამიტომ საჭიროა რიგითმა პარტიის წევრებმა ხმა აღიმაღლონ და გამოიყვანონ სალათას ძილიდან ჩვენი დღევანდელი პარტიული ხელმძღვანელობა.

**ა. თ.** — რა თქმა უნდა, დადებითად. ამასთან, მრავალპარტიულობა უაღრესად აუცილებელ სისტემად მიმაჩნია, მრავალი აზრის ერთიანობაშია საზოგადოების განვითარების, წინსვლის პირობა. ასე, მხოლოდ ასე, შეიძლება უზრუნველყო ისტორიული ეპოქის შესატყვისი პროგრესი. ხაზს ვუსვამ, მრავალპარტიული სისტემა ზოგიერთებს ერთი პარტიის მეორე პარტიის დიქტატით შეცვლა ჰგონია. ოპონენტი სჭირდება ყველას, თუ გვინდა ჭეშმარიტი დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსი გაგვაჩნდეს.

**გ. მ.** — მრავალპარტიული სისტემის გარეშე დემოკრატია სრულყოფილი ვერ იქნება. თუმცა მრავალპარტიულობა არ ნიშნავს არსებული კანონმდებლობის ფაქტიურ უგულებელყოფას. რომელიმე პარტია შეიძლება იურიდიულად არ ეთანხმებოდეს არსებულ კანონმდებლობას, მაგრამ ფაქტიურად იგი თავისი მოქმედებით უნდა დაექვემდებაროს მას და უფლება ჰქონდეს მხოლოდ აღიარებული, კანონიერი გზებით

იმოქმედოს კანონმდებლობის შეუცვლელად. სხვაგვარად იარსებებს ანარქიის, განუკითხაობის სხვა საშიში ელემენტების მომძლავრების საშიშროება, რაც ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ნოყიერ საფუძველს შექმნის ისევ დიქტატურის დამყარებისათვის.

**— მოდით, გულახდილად ვთქვათ, როგორ გგონიათ, რომ ჩატარდეს აბსოლუტურად თავისუფალი არჩევნები (სსრკ-ში მსგავსი რამ მხოლოდ ძალზე მდიდარი ფანტაზიის მქონე კაცს შეუძლია ეს წარმოადგინოს), თქვენი აზრით, რა შანსი აქვს კომუნისტურ პარტიას?**

**ტ. ლ.** — მე მწამს, რომ ასეთ არჩევნებში კომუნისტური პარტია გაიმარჯვებს და რატომ? იმიტომ, რომ სხვა პარტიებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ აშკარად ჩამოყალიბებული საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ამავე დროს მათი მუშაობის მეთოდები პოლიტიკური ექსტრემიზმის ხაზიდანაა ნასესხები, ყველაფერი ეს ნებსით თუ უნებლიეთ მოქმედებს ხალხის, — და ისიც ისეთ მრავალეროვან რესპუბლიკაში, როგორიც ჩვენია — შეგნებაზე, მათ განწყობილებაზე. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტიებში მრავალი ისეთი პიროვნებები აღმოჩნდნენ გაერთიანებულნი, რომლებიც: ერთნი — ჩვენი პარტიის რიგებში თავიანთი კარიერისტული მიზნები ვერ განახორციელეს და ახლადშექმნილ პარტიებში ცდილობენ დაიმკვიდრონ თავი, მეორენი — კი არიან ისეთები, რომლებმაც საზოგადოებაში ვერ დაიმკვიდრეს კეთილსასურველი სახელი და ახლა ცდილობენ დაიმკვიდრონ — ყვარყვარე თუთაბერის მსგავსად — ადგილობრივი რაიონული მასშტაბის ბელადობა. ყველაფერი ეს სახელს უტეხავს ამ პარტიებსა და გაერთიანებებს თუ ჯგუფებს. ამიტომ მათ პირველ რიგში უნდა გაწმინდონ თავიანთი თავი ასეთი პიროვნებებისაგან. აი მაშინ ამაღლდება მათი ავტორიტეტი ხალხში. მაშასადამე კომუნისტური პარტიის გამარჯვება არჩევნებში იმით კი არ იქნება გამოწვეული, რომ ის განსაკუთრებულ მუშაობას აწარმოებს (თუ ასეთი მომავალში იქნება, ღმერთმა ქნას) თავის ავტორიტეტის ასამაღლებლად, — ავტორიტეტის ამაღლება კი დამოკიდებულია ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი ფაქტორების დაძლევაში, რომელიც წარმოიშვა ისევ და ისევ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მოუქნელი, უსისტემო და უპრინციპო მუშაობის შედეგად, არამედ ხალხს ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი იმედი, რომ კომუნისტური პარტია განთავისუფლდება ასეთი ხელმძღვანელობისაგან და აღსდგება ისეთ ძალად საზოგადოებაში, რომელსაც უნარი ექნება დაძლიოს შექმნილი კრიზისი.

**ა. თ.** — მე მგონი ჩვენს საუბარს გულახდილობა არ აკლია. თუმცაღა სხვანაირად საუბარი არცკი გამოგვივიდოდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ცვლილებებს, რაც ქვეყანაში და თვით პარტიაში ხდება, იმასაც, რომ სწორედ პარტია იყო ამ პროცესების ინიციატორი, ამასთან იმ ფაქტსაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პარტიის წევრთა გონებრივი პოტენციალი საკმაოდ მაღალია და ახალ პირობებში ამ პოტენციალის სრული გამოვლენის შესაძლებლობები შეექმნება და კიდევ სულ უფრო და უფრო გაგრძელდება ეტაპობრივი ევოლუციური განვითარების პროცესები, რა თქმა უნდა, შანსი დიდია. მაგრამ ვიმეორებ, შანსი ექნება მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციურად გარდაქმნილ პარტიას, და არა დიქტატზე დამყარებულ ძველს, დრომოჭმულს. ჭეშმარიტად დემოკრატიულ პირობებში მხოლოდ რეალური საქმის კეთება გადაწყვეტს არჩევნებში ამა თუ იმ პარტიის ბედს.

**ვ. მ.** — კომპარტიამ ისტორიულად შექმნილი კრიზისული ვითარებიდან ჩვენი საზოგადოებისათვის ერთადერთი და სწორი გამოსავალი ნახა, დაადგა საჯაროობისა და დემოკრატიზაციის, ქვეყნის ძირეული გარდაქმნის გზას. ხალხს უფლება მიეცა თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, აქტიურად ჩაებას ქვეყნის გარდაქმნის პროცესში. პარტიამ თვითონვე წამოსწია ზედაპირზე ბევრი ის შეცდომა და ნაკლოვანება, რომელიც წლების განმავლობაში გააჩნდა და დღესაც გააჩნია.

შეიქმნა სურათი, თითქოს კომპარტიას მხოლოდ შეცდომები, დანაშაული ეკეთებინოს თავისი არსებობის ისტორიაში. ხალხში, ბუნებრივია, ემოციებმა იმატა, საკმაოდ განმტკიცდა მოსაზრება, რომ კომპარტიას, რომელიც თავისი არსებობის განმავლობაში ან დანაშაულს სჩადიოდა, ან თავს იმართლებდა, აღარ აქვს მორალური უფლება არა თუ ხელმძღვანელი პარტიის როლში ყოფნისა, არამედ საერთოდ არსებობისა და სხვ. ასეთ ვითარებაში, ალბათ, კომპარტიის შანსი არჩევნებში წარმატებისა მინიმუმამდე დადის. მაგრამ, თუ ხალხს დავანახებთ, რომ კომუნისტურმა პარტიამ შეცდომები საჯაროდ იმიტომ გამოამზეურა, რომ მისგან გათავისუფლდეს, და ბოლოს და ბოლოს გახდეს ხალხის ნების ნამდვილი და არა ფორმალური გამომხატველი, რომ ამას იგი ნაბიჯ-ნაბიჯ აკეთებს კიდევაც, აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი პარტია ბევრად ჯობია იმ დროის პარტიას, რომლისთვისაც ბევრ დღევანდელ კრიტიკოსთან ერთად თავის დროზე ქება არ დაგვიკლია და უსიტყვოდ ვაძლევდით ხმას სხვადასხვა დონის არჩევნებში, ჩემის ღრმა რწმენით, შესაძლო გახდება, და ეს აუცილებელიცაა, დავაცხროთ ემოციები და არჩევნებში მივცეთ ხმა პიროვნებებს, არა რომელიღაც პარტიაში ყოფნისათვის, არამედ მისი უნარისათვის იყოს ამომრჩევლის ნების გამომხატველი.

**— კონსტიტუციაში მე-6 მუხლის ახალმა ფორმულირებამ ბევრი ვერაფერი შეცვალა. ფაქტობრივად მან მაინც დატოვა კომუნისტური პარტიის უპირატესობა „სხვა“ პარტიებთან შედარებით. თქვენ პირადად როგორ მიგაჩნიათ, კონსტიტუციის ამ მუხლს შეუძლია თუნდაც მომავალში უზრუნველყოს ყველა პარტიის თანაბარუფლებიანობა?**

**ტ. ლ.** — ნაწილობრივი ცვლილების შეტანა კონსტიტუციის მე-6 მუხლში, ეს გარდაქმნის დღევანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი თვისებაა. მიუხედავად ამისა, ყველა პარტიებს შეუძლიათ ისარგებლონ დემოკრატიზმით, მე აქ შეზღუდვებს ან ხელოვნურ ბარიერებს ვერ ვხედავ.

**ა. თ.** — შეიძლება არ დაგეთანხმოთ ასეთ კითხვაზე. კონსტიტუციის მე-6 მუხლის ცვლილებები მე მიმაჩნია პარტიის ეტაპობრივი, ევოლუციური გარდაქმნის სწორ პირობად. ამ ფაქტის უარყოფა არ შეიძლება. საჭიროა ერთიანი ძალისხმევა ყველა პარტიის კონსტიტუციური თანასწორუფლებიანობისათვის. ხოლო შემდგომ უკვე საქმემ უნდა წარმოაჩინოს ესა თუ ის პარტია, ადამიანთა ჯგუფი თუ გაერთიანება.

**ვ. მ.** — თუ ვინმეს ეგონა, რომ კონსტიტუციის მე-6 მუხლის შეცვლასთან ერთად ავტომატურად შეიცვლებოდა უზენაესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, აღმასკომების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების კომუნისტებით დაკომპლექტებული შემადგენლობები, ძალიან აჩქარებულა. ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს და ჩატარდება ახალი არჩევნები რესპუბლიკურ და ადგილობრივ არჩევით ორგანოებში, რომლებიც თავის მხრივ დაამტკიცებენ მინისტრთა საბჭოს, მინისტრებს, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს თითქმის ყველა დონეზე. რომელი პარტიაც შეძლებს მეტი წარმომადგენლის არჩევას საკანონმდებლო ორგანოებში, მომავალში უპირატესობაც მას ექნება; მართალია მომავალი არჩევნებისათვის კომპარტიას რაოდენობრივად, თანამდებობრივად, თუნდაც მის რიგებში გაერთიანებული ინტელიგენციის სახით პრივილეგია აქვს, მაგრამ თუ მის გარშემო არსებულ კრიზისულ ვითარებას გავითვალისწინებთ, მე-6 მუხლის ცვლილებამ საფუძველი ჩაუყარა პარტიების თანაბარუფლებიანობის დამკვიდრების პროცესის საწყისს. იდეოლოგიურმა განყოფილებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს კომპარტიის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და წარმართვის პროცესს. ამ და სხვა ფუნქციების შესასრულებლად თითოეულ ჩვენთაგანს სჭირდება უფრო მეტი უშუალო კონტაქტები საზოგადოების სხვადასხვა ფენების, აგრეთვე ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენლებთან. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით მუშაობაში ჩვენს განყოფილებას დიდი რეზერვები გააჩნია.

**— როდესაც ლაპარაკია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი სფეროს დეიდეოლოგიზაციაზე (ნუ ავურევთ ამ სიტყვას დეპოლიტიზაციაში), როგორ გესახებათ პარტიის ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილების მუშაობა, მისი ფუნქციები?**

**ტ. ლ.** — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დეიდეოლოგიზაციის წინააღმდეგი ვარ. 70 წლებში კაპიტალისტურ სამყაროში წარმოშობილი „დეიდეოლოგიზაციის“ თეორიაც ხომ იდეოლოგიაა, რომელიც ემსახურება ადამიანთა ზნეობრივი და მორალური დოგმების გაყალბებას. აი რას სწერდა 70-იანი წლების დასასრულს ამერიკელი სოციოლოგი ა. ალენი ერთ-ერთ წერილში — „კომუნისტური ადამიანი“: „იმისათვის, რომ თავისუფალმა სამყარომ თავის მიზანს მიაღწიოს, მან უნდა გაასამკეცოს ღონისძიებანი არა მარტო პოლიტიკის, არამედ მორალის სფეროშიც, საჭიროა ყველაფრის გაკეთება, რათა შეიცვალოს საბჭოთა საზოგადოების ადამიანთა მორალური განწყობა, ეჭვქვეშ დადგეს მათი ცხოვრების წესისა და იდეალების ჭეშმარიტი ღირებულება“. ხოლო იმავე პერიოდში მეორე ამერიკელი იდეოლოგი მიუკასი, რომელიც „ფსიქოლოგიური ომის“ მამამთავრად არის ცნობილი, აღნიშნავდა: „რადიოპროპაგანდის მეშვეობით გათვითცნობიერებული ადამიანი გაუთვითცნობიერებლად უნდა ვაქციოთ, ინფორმირებული დეზინფორმირებულად, დარწმუნებული-მერყევად. ადამიანებში კომუნისტური მიზნებისადმი მისწრაფება უნდა აღმოვფხვრათ. ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი“. როგორ ფიქრობთ, დეიდეოლოგიზაციის მომხრენი ვის წისქვილზე ასხამენ წყალს? მიაღწიეს თუ არა ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა გარკვეულ წარმატებებს ჩვენში ამ მხრივ?

რაც შეეხება პარტიის ცკ-ის იდეოლოგიური განყოფილების მუშაობას და მის ფუნქციებს, შემდეგნაირად მესახება: იდეოლოგიური მუშაობის ფუნქციის შესუსტება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ეს მომაკვდინებელი იქნება პარტიისათვის. რაც შეეხება მუშაობის ტაქტიკას, ის უნდა გამოდიოდეს დღევანდელი ეტაპის ამოცანებიდან. პირველ რიგში პარტიამ უნდა გაარკვიოს მის ბიუჯეტზე მყოფი ჟურნალ-გაზეთების პოზიცია, ვის ემხრობიან ისინი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. იდეოლოგიური სამსახური უფრო თამამად უნდა ჩაებას დიალოგში სხვადასხვა პარტიებთან და დაჯგუფებებთან, ამავე დროს ენერგიულად წარმართოს იდეურ-პოლიტიკური მუშაობა პარტიულ ორგანიზაციებში.

**ა. თ.** — მე კვლავ მინდა დავუბრუნდე ზემოთ ნათქვამს. ისტორიის 70 წლის მანძილზე პარტია გაიგივებული იყო სახელმწიფო მმართველობის სისტემის წარმმართველ ძალასთან. ე. ი. სულ სხვა და სხვაა ის, რაც იყო, და რაც უნდა იყოს; სულ სხვა რამეს ვეძახდით იდეოლოგიას და რეალურად სხვა რამ არის იგი. ის, რომ ყოველი საპროგრამო დებულების განხორციელებას შესატყვისი იდეოლოგიური უზრუნველყოფა სჭირდება, ამაში საკამათო არაფერია. მოკლედ კი ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს — პარტიის ევოლუციურმა გარდაქმნამ უნდა განსაზღვროს იდეოლოგიური სამსახურის გარდაქმნაც.

**ვ. მ.** — იდეოლოგია, როგორც მოგეხსენებათ, სისტემაში მოყვანილ გარკვეულ იდეათა კრებულს ნიშნავს, თუ სსრკ-ში წლების განმავლობაში გატარებულმა დოგმატურმა იდეოლოგიამ არ გაამართლა, ამის გამო საერთოდ იდეოლოგიაზე უარის თქმა უბრალოდ უაზრობაა. ვერცერთ პარტიას ვერ წავართმევთ უფლებას, დაამკვიდროს თავისი იდეოლოგია, რომელიც შესაძლოა იყოს ეროვნული, სოციალური და სხვა სახის. რეალურად იდეოლოგიის გარეშე ცხოვრების არცერთი სფერო არც მომავალში არ დარჩება, უბრალოდ გაუმართლებელი იდეოლოგია შეიცვლება ახალი, მისაღები იდეოლოგიით. მიმაჩნია, რომ სხვადასხვა სფეროში ამჟამად მიმდინარე დეიდეოლოგიზაციის პროცესები კომპარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი მოძრაობების მიერ გაშლილი კამპანიაა, რისთვისაც ნოყიერი ნიადაგი არსებობს. მისი ერთერთი მიზანია, ჩამოიცილოს კონკურენტი განახლების გზაზე მდგარი კომპარტიის სახით, საკუთარი იდეოლოგიის დამკვიდრების და თვითდამკვიდრების საქმეში.

იდეოლოგიური განყოფილების საქმიანობა უნდა გამოიხატოს: წარსულისა და აწმყოს ანალიზის, მომავლის ტენდენციების პროგნოზირების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ისეთი სტრატეგიული და ლოკალური პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც მაქსიმალურად გამოხატავს საქართველოს ინტერესებს;

**— დღეს უკვე ბევრს მიაჩნია, რომ სრულიად ზედმეტია ის ბიუროკრატული პოლიტიკური განათლების სისტემა, რომელიც სამაგიეროდ კარგს არაფერს აძლევს საზოგადოებას, შეგვიძლია მას დავამატოთ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი, პარტიული სწავლების კურსები და სხვა. ყველაფერი ეს ამავე დროს არის: უზარმაზარი შესანიშნავი შენობები, აუდიტორიები, დარბაზები, ტექნიკა, აუარება ფული. ყველაფერი ეს რისთვის? ეს კითხვა ხშირად გაისმის. თქვენ თუ დაფიქრებულხართ ამაზე, ნუთუ ამ საშუალებების გამოყენება ერისთვის უფრო სასარგებლოდ არ შეიძლება?**

**ტ. ლ.** — ენგელსი ჯერ კიდევ 1874 წელს წინასიტყვაობაში შრომისა „გლეხთა ომი გერმანიაში“ წერდა: „განსაკუთრებით ბელადების მოვალეობაა სულ უფრო და უფრო განთავისუფლდნენ ძველი მსოფლმხედველობის ტრადიციულ ფრაზების გავლენისაგან და მუდამ მხედველობაში იქონიონ, რომ სოციალიზმი მას შემდეგ, რაც ის მეცნიერებად იქცა, მოითხოვს, რათა მას სწორედ ისე მოეპყრნენ, როგორც მეცნიერებას ე. ი. შეისწავლონ იგი“. ენგელსის ეს დებულება რომელიც ავერ ას წელზე მეტი ხნის წინათ არის დაწერილი, რამდენად ესადაგება დღევანდელობას, გარდაქმნისა დემოკრატიზაციის პროცესს? ჩვენის აზრით, ეს დებულება დღესაც აქტუალურია, ვინაიდან არამარტო პარტიის ხელმძღვანელობა, არამედ რიგითი პარტიის წევრებიც უნდა სწავლობდნენ სოციალიზმს, მით უმეტეს ჰუმანურ, დემოკრატიულ სოციალიზმს. ამიტომ გარდაქმნაში მონაწილე მოქალაქე შეგნებული ელემენტი უნდა იყოს და არა შეუგნებელი.

**ა. თ.** — რა თქმა უნდა შეიძლება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კონკრეტული ნაბიჯებიც კი გადაიდგა ამ მიმართებით. საჭიროა არამარტო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, არამედ უპირველესად, იქ მომუშავე გონებრივი პოტენციალის გამოყენება საერთო-სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე, დროისა და მოთხოვნების შესაბამისად.

**ვ. მ.** — ეს საკითხები საზოგადოების ფართო მსჯელობის შედეგად უნდა გადაწყდეს. უნდა მოვუსმინოთ ოპონენტებს, შევაჯეროთ აზრები და შემდგომში მივიღოთ მაქსიმალურად ოპტიმალური გადაწყვეტილება. ხომ ძრ არის გამორიცხული, რომ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შემსწავლელი და პროგნოზირების ინსტიტუტების რაღაც ნაწილი შინაარსშეცვლილი სახით უნდა დავტოვოთ ისევე, როგორც ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია. სხვა ე. წ. რადიკალური გზებით ამ საკითხების გადაწყვეტა არ მიმაჩნია ცივილიზებული ერისათვის მისაღებად.

**— და ბოლოს, შესაძლოა ყველაზე მთავარი კითხვა — როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი დამოუკიდებელი საქართველო და კომპარტია?**

**ტ. ლ.** — საქართველოსა და კომპარტიის დამოუკიდებლობა წარმომიდგენია კონფედერაციის ან ერთა თანამეგობრობის გზით. ზოგს რატომღაც აშინებს როგორც კონფედერაცია, ასევე ერთა თანამეგობრობა და ფიქრობს, რომ ეს, ასე ვთქვათ, მთლიანი დამოუკიდებლობა არ არის. მაგრამ განა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში კანადა, ავსტრალია, ინდოეთი და სხვები დამოუკიდებელი ქვეყნები არ არიან? რაიმე დაბრკოლება ექმნებათ მათ სუვერენიტეტს ამით?

**ა. თ.** — უპირველესად ერთიანი, მთლიანი, დამოუკიდებელი თავის საშინაო და საგარეო საქმეში ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების პრიორიტეტული ნიშნით.

როგორი უნდა იყოს საქართველოს კომპარტია?! რა თქმა უნდა ეროვნული. არამარტო გარეგნული აზრით, არამედ შინაგანი სუნთქვით, დროის განზომილების, ისტორიული მომენტისა და ასპექტის გათვალისწინებით. ზნეობრივად წმინდა, გონიერი, უნარიანი და ავტორიტეტული ადამიანებით. პარტიამ უნდა დაანახოს ხალხს, რომ მისი მოქმედება, ახალი გზების ძიება, უპირველესად, ერის, ხალხის საკეთილდღეოდაა მიმართული.

რა გვჭირდება დღეს?!

უპირველესად გვჭირდება ნდობის სიტუაცია, ურთიერთპატივისცემის, მოქმედების სისწორის აღიარება.

ეროვნული ერთობისა და კონსოლიდაციისათვის ბრძოლა.

**ვ. მ.** — საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა როგორც უზენაეს მიზანს დღეს ჩვენში, აშკარა უმეტესობა ხმამაღლა უჭერს მხარს. განსხვავება მხოლოდ ამ მიზნამდე მისასვლელ გზებშია. ერთნი მოითხოვენ დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შემზადების გარეშე მივაღწიოთ ამას, მეორე ნაწილს მიზანშეწონილად მიაჩნია ამისათვის შესაბამისი მომზადება.

მე დღეს საქართველო წარმომიდგენია ქვეყნად, რომელიც ათეული წლების განმავლობაში დამოუკიდებელი სახელმწიფოდან გადაიქცა ერთიანი სხეულის ისეთ მცირე ნაწილად, როგორიცაა მაგალითად ხელის მტევანი. თუ ავიღებთ და ერთი ხელის მოსმით მოვჭრით ამ მტევანს, მას უბრალოდ დაღუპვის ან სხვის ნაწილად ქცევის საშიშროება ელის. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა საქართველო თანდათანობით კვლავ გარდავქმნათ დამოუკიდებელ ორგანიზმად, ბუნებრივად შევქმნათ მთლიანი სხეულიდან განცალკევებით არსებობის აუცილებელი წინაპირობები. პირველ ყოვლისა ვგულისხმობ სამ ძირითად საკითხს:

1. უნდა უზრუნველვყოთ იგივე ფუნქციების შესრულება, რასაც დღეს ასრულებს საბჭოთა არმია გარეშე მტრის შესაძლო თავდასხმისგან თავდასაცავად. ამისათვის საჭიროა შეიქმნას რესპუბლიკას დაქვემდებარებული ეროვნული საჯარისო ნაწილები.

2. უნდა მოისპოს ე. წ. ეთნოკონფლიქტების წარმოშობის მიზეზები, საჭიროა მივაღწიოთ ისეთი ატმოსფეროს შექმნას, როდესაც საქართველოში მცხოვრები სხვა ერის ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობას საკუთარი ინტერესების განხორციელების წინაპირობად მიიჩნევს. ეს შესაძლებელია, თუ წინა პლანზე ერთმანეთის წყენის ნაცვლად, წამოვწევთ ჩვენს ისტორიულ მეგობრობას, ძმობას, მითუმეტეს, რომ აშკარად დავინახეთ დაპირისპირების უარყოფითი შედეგები ორივე მხარისათვის.

3. აუცილებელია ეკონომიკური ბაზისი (გარანტიები) შევქმნათ დამოუკიდებლობისათვის, ე. ი. ვიცოდეთ საიდან მივიღებთ უპირველესი მოთხოვნილების ნედლეულსა და პროდუქციას (მაგ. საწვავს), თუ დღევანდელმა მომწოდებლებმა ამაზე უარი თქვეს, რა გზებით გამოვნახავთ შესაბამის თანხას და სხვა.

ამ და სხვა ძირითადი წინაპირობის მომზადებისათვის უნდა ქმნიდეს დღეს ატმოსფეროს (და ეტაპობრივად ქმნის კიდევაც) საქართველოს კომპარტია გონივრული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გატარებით. მხოლოდ ამ საქმიანობიდან გამომდინარე იქნება ხალხის მიერ შეფასებული და გამოკვეთილი მისი როლი და ადგილი მომავალ საქართველოში.

# ალტერნატიული ფურცელი

## საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

1990 წლის 11 მაისს, პარასკევს, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში, სადაც მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული ფორუმის სხდომები, გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის დამფუძნებელი კრება. ეროვნულ ფორუმს მიაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებმა, რომელიც დაკავშირებულია კოლოსალური სამუშაოების ჩატარებასთან, მაქსიმალურად უნდა შეძლოს თავისი ჭეშმარიტად ეროვნული დროშის ქვეშ გააერთიანოს საქართველოში არსებული ყველა ეროვნულ-პოლიტიკური ძალები და საზოგადოებრივი გაერთიანებები. ამ მიზნით იქნა მოწვეული საქართველოს ეროვნული ფორუმის მიერ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის დამფუძნებელი სხდომა, რომლის მუშაობამ წარმატებით ჩაიარა. შეიქმნა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი, რომელშიც გაერთიანდნენ:

**საქართველოს ეროვნულ-სოციალური პარტია, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის პარტია, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სათათბირო, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, აკადემიკოსი გივი ხანძე, აკადემიკოსი თენგიზ ონიანი, აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე, გამომცემლობა „საქართველო“, ასოციაცია „ჭავახეთი“, სადროშო „ლემი“, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება, გეოფიზიკის ინსტიტუტი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თბილისის პოლიტიკური კლუბი პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, დავით გარეჯის საზოგადოება, ქეთევან წამებულის საზოგადოება, ოსური ასოციაცია. „სიმართლე“, ტრესტი „თბილგაზი“, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, სამხატვრო აკადემია,** ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტი.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლები — ხაშურიდან, გორიდან, ახალგორიდან, მცხეთიდან, გარდაბნიდან, თეთრიწყაროდან, საგარეჯოდან, სიღნაღიდან, ახმეტიდან, თელავიდან, ქუთაისიდან, საჩხერიდან, ჭიათურიდან, ვანიდან, ბაღდადიდან, თერჯოლიდან, მარტვილიდან, სენაკიდან, ჭყარიდან, ზუგდიდიდან, ხობიდან, ფოთიდან, ჩოხატაურიდან, ლანჩხუთიდან, ქობულეთიდან, ბათუმიდან, ზესტაფონიდან, ცაგერიდან, ხარაგაულიდან, ლაგოდეხიდან, გურჯაანიდან, ყვარლიდან, წყალტუბოდან, მესტიიდან და რუსთავიდან. ყველა ამ დასახელებულ ქალაქსა და რაიონში მოქმედებს ეროვნული კომიტეტები და უახლესი მომავლისათვის შეიქმნება დამოუკიდებელი არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის საქალაქო და რაიონული ფილიალები.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის დამფუძნებელ სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა 1990 წლის 23 მაისისათვის. საქართველოს ეროვნული ყრილობის მიმდინარეობა გაგრძელდება სამი დღე. გაიმართება სპორტის სასახლეში.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის დამფუძნებელ სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი წერეთელი, სიტყვებით გამოვიდნენ ირაკლი ბათიაშვილი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, გიორგი ჭანტურია, რევაზ შავიშვილი, დავით ზოდელავა, ლოვარდ ტუხაშვილი და სხვები.

## საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ

[illegible]

სხეულებზე 20 კაცის წარმომადგენლობით:

1. თბილისის სახელმწიფო უნი- [illegible]

[illegible]

საქართველოს ეროვნული ფორუმის და საკოორდინაციო ცენტრის სახელით [illegible]

---

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წესდების პროექტი გამოტანილ იქნა მრგვალი მაგიდის რიგით მესამე შეხვედრაზე მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის წევრთა (ბატონი ვახტანგ ბახტაძე, ბატონი მერაბ ურიდია, ბატონი ზვიად ბოკუჩავა და ბატონი ნუგზარ მოლოდინაშვილი) მიერ. 11 მაისს წესდება მცირეოდენი კორექტივებით მოწონებული და მიღებული იქნა.

გთავაზობთ უკვე შესწორებულ და რედაქტირებულ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა სიას და მის წესდებას.

მრგვალი მაგიდის მორიგი IV შეხვედრა გაიმართება 15 მაისს, სამშაბათს, 20 საათზე, საქართველოს ალკკ-ს შენობაში, III სართულზე, მრგვალი მაგიდის დარბაზში, ი. მაჩაბლის ქ. № 11.

სტუმრის სტატუსით მოწვეულია სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი ბატონი აკაკი ბაქრაძე და სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ნოდარ ნათაძე.

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა

მონაწილენი:

სპიკერი — ზვიად გამსახურდია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე;

საქართველოს ჰელსინკის კავშირი — თემურ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, გოგი ხოშტარია, გოგი მარჯანიშვილი.

საქართველოს წმინდა ილია მა- [illegible] კუპრეიშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი;

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია — თემურ ჟორჟოლიანი, თენგიზ კიტოვანი, გიორგი ხონელიძე, აკაკი ასათიანი;

„მრგვალი მაგიდის“ მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია;

მუდმივი წევრები სათათბირო ხმის უფლებით — თენგიზ სიგუა — პროფესორი, საქართველოს მე- [illegible] დიხამინჯია — საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ალეკო მელაძე — დამოუკიდებლობის ორგანიზაცია, ზვიად ბოკუჩავა — საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, გიორგი ხავთასი — სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება.

სტუმრის სტატუსით მოწვეულნი არიან — წევრი-ორგანიზაციები: საქართველოს ფედერალურ-რესპუბლიკური პარტიის ორი წა- [illegible]

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წესდება

პრეამბულა

[illegible]

...რთველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალისტური კონცეფციის შექმნა და მის გასატარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. აუცილებელია, უმოკლეს დროში პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება საქართველოს საკითხის ჰელსინკი-2 შეხვედრაზე გასატანად.

მრგვალი მაგიდის შემქმნელ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დასაშვებად მიაჩნიათ თანამშრომლობა ყველა იმპერიალისტური სტრუქტურების უარმყოფელ არაკოლაბორაციონისტურ, მშვიდობიან, ძალადობის დამგმობ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან. ამავე დროს, გამორიცხული არ არის დიალოგი ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ან ცალკეულ პიროვნებასთან.

### მრგვალი მაგიდის სტრუქტურა

1. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ: მუდმივი წევრი-ორგანიზაციები, წევრები და მოწვეული სტუმრები.

მრგვალი მაგიდა დარგობრივი პრინციპებით ქმნის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ უფლებამო- [illegible]

...და ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება და ამ ორგანიზაციათა მიერ შექმნილი მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები მრგვალი მაგიდის მუშაობაში წარმოდგენილი არიან ოთხოთხი წევრით.

ბ) მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრი-ორგანიზაცია აღჭურვილია გადამწყვეტი ხმისა და ორგანიზაციული ვეტოს უფლებით.

საკოორდინაციო კოლეგია მრგვალ მაგიდასთან სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

3. სტუმრები:

მრგვალი მაგიდის ოთხი მუდმივი წევრი-ორგანიზაცია აბსოლუტურად თავისუფალია თავისი ნების გამოხატვისას, უფლებამოსილია დიალოგისათვის მოიწვიოს ნებისმიერი ორგანიზაცია თუ ცალკეული პიროვნება ოპტიმალური ეროვნული კონცეფციის გამოსამუშავებლად.

4. მრგვალი მაგიდის წევრები:

ა) ის ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით სისტემატურად მონაწილეობას მიიღებს თავისი ორი წარმომადგენლით [illegible] გადამწყვეტი ხმის უფ[illegible]

### მრგვალი მაგიდის მუშაობის პრინციპები

1. მრგვალი მაგიდის სხდომებს მიჰყავს სპიკერს. მრგვალი მაგიდის სხდომის მსვლელობის დროს მონაწილენი ვალდებულნი არიან, იმოქმედონ სპიკერთან შეთანხმებით.

2. მრგვალი მაგიდის წევრები ვალდებულნი არიან ურთიერთმიმართებაში დაიცვან საყოველთაოდ მიღებულ ეთიკური ნორმები. თუ მრგვალი მაგიდის რომელიმე მონაწილის მოქმედება მრგვალი მაგიდის წევრთა მიერ შეფასებული იქნა როგორც არაეთიკური, აღნიშნულმა პიროვნებამ უნდა დატოვოს მრგვალი მაგიდა.

3. მრგვალი მაგიდის მონაწილე პოლი[illegible]ნიზაციები თავისუფ[illegible]ნთ მოქმედებებ[illegible]და [illegible]ლებებში, თუ ეს ქმედ[illegible]ა დაკავშირებული არ არის [illegible]ვალი მაგიდის მუშაობასთან.

თბილისი, [illegible] მაისი 1990 წ.

---

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია

**დღეს** საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე არის ქართველი ერი, საქართველოს კანონიერი მოსახლეობა. ამიტომ აუცილებელია სწორედ ქართველმა ერმა, საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ გააკეთოს არჩევანი იმ გზისა, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა აღსდგეს. რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, არსებობს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ორი შესაძლებლობა:

1. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა.
2. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურად ერის ნების გამომხატველი, დროებითი უმაღლესი ხელისუფლების საყოველთაო არჩევნები.

საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური (დამოუკიდებლობის არმოსურნე არაქართული მოსახლეობა), მორალური (კორუფცია, მომხვეჭელობა, კონფორმიზმი) და პოლიტიკური (იმპერიული მმართველობა, საოკუპაციო არმია) რეალიათა გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ექსტრემალურ პირობებში — შესაბამისი ძლიერი „მუხტის“ არსებობის შემთხვევაში. ასეთი „მუხტი“ შეიძლება გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რეალური ხელყოფის ან იმპერიისა თუ მისგან პროვოცირებული ძალების მიერ ქართველი ერის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი ტერორის დროს. მხოლოდ ასეთ უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი სპონტანურად განხორციელდეს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა იმ მასშტაბებითა და ვადით, რომელიც უკიდურესი გაჭირვების, დიდი რისკისა და, იქნებ სისხლის ფასადაც ერს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს. მხოლოდ უკიდურესად ექსტრემალური სიტუაციისას არის რეალური საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელება. სხვა შემთხვევაში, მარტოოდენ რადიკალური, შეურიგებელი ოპოზიციის მოწოდებების ძალით საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელება სათანადო დიდი შემზადების გარეშე, უახლოეს ხანში ნაკლებ სავარაუდოა.

იმისათვის, რომ საქართველოში არჩეულ იქნას ჭეშმარიტად ერის ნების გამომხატველი და მისი ინტერესების დამცველი ორგანო, რომელიც მხოლოდ არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით იმოქმედებს და არა ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატითა და მისადმი კომპრომისებით, აუცილებელია: არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ოპოზიციამ, ჭეშმარიტმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რათა მოსკოვისადმი მეტნაკლებად დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალები უმაღლეს არჩევით ორგანოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ. სწორედ ამ უმაღლესმა არჩევითმა ორგანომ უნდა იტვირთოს გარდამავალი პერიოდის მთელი სიმძიმე. საქართველოს უკიდურესად მძიმე გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, ყოვლად დაუშვებელია საოცრად დინამიურ გარდამავალ პერიოდში ისეთი მოქმედება, რომელიც ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.

ვისა აქვს უფლება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სახელით ლაპარაკისა და როგორ უნდა მოხდეს ასეთი სამართლებრივი სუბიექტის შექმნა, როგორ გადასცემს მას ხალხი ნდობის მანდატს? საქართველოში მიღებული უკანასკნელი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური საერთაშორისო აქტი არის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომელიც უკიდურესი — შეიარაღებული აგრესიის ფორმით დაირღვა საბჭოთა რუსეთის მიერ. ყოველივე ეს დეკლარირებულია, ხოლო მისი საბოლოო და სამართლებრივი გაფორმება მომავლის საქმეა. საქართველოში 1921 წლის 17 მარტის შემდეგ (ამ დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუცია) ადგილი არ ჰქონია არც ერთ(!) კანონიერ სახელმწიფოებრივ აქტს, რის დეკლარირებასაც თვით საქართველოს დღევანდელი უზენაესი საბჭო ახდენს, რომელიც ბათილად სცნობს, როგორც უკანონოს ყველა შემდეგდროინდელ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს (მათ შორის ფაქტიურად საკუთარ თავსაც). იმისათვის, რომ კანონიერად წარიმართოს საქართველოში გარდამავალი პერიოდი, აუცილებელია მისი კანონიერად დაწყება. კანონიერებისაგან ყოველგვარი გადახვევა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მხოლოდ გაართულებს ჩვენს ისედაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში კარგს არაფერს მოგვიტანს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია გარდამავალი ეტაპის ამოსავალ წერტილად გავიხადოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის 27 იანვრის ერთა ლიგის გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სუვერენად ცნობის შესახებ და არა საკავშირო თუ რესპუბლიკური კონსტიტუციების „კარგი“ თუ „ცუდი“ მუხლები. ამ მიზეზით შეიქმნა, ერთგვარად ნაჩქარევად, ლიტვური პრეცენდენტი, რომელიც უახლოეს მომავალში მეტროპოლიასთან მოლაპარაკებას აწარმოებს არა საბჭოურ კონსტიტუციათა, არამედ საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. ამდენად, საქართველოს დღევანდელი უზენაესი საბჭო ვერაფრით ვერ იქნება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი. სწორედ ამიტომ სავსებით სამართლიანად ამბობს უარს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობაზე და არა ახირებათა გამო. მსოფლიო პოლიტიკაში ხალხის ნების გამომხატველი სამართლებრივი სუბიექტის შექმნის ყველაზე მისაღები ფორმა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებია, რომლის დროსაც ხდება გარკვეული ვადით ნდობის მანდატის გადაცემა კანონიერ უმაღლეს ხელისუფლებაზე. საქართველოშიც უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს საყოველთაო, მრავალპარტიული შეუზღუდავი დემოკრატიული არჩევნები, რომელიც **მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კანონიერი** (იმისდა მიუხედავად სცნობს თუ არა მას საერთაშორისო პოლიტიკა), **თუ ის არ იქნება საბჭოური**. საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში საბჭოური და კანონიერი ერთმანეთს გამორიცხავს.

როგორ შეიძლება ჩატარდეს დღევანდელ პირობებში საქართველოში საყოველთაო არასაბჭოური დემოკრატიული არჩევნები? არსებობს ორი — **ოფიციალური და არაოფიციალური** საყოველთაო არჩევნების ჩატარების თეორიული შესაძლებლობა. **არაოფიციალური არჩევნები** იმთავითვე იხსნის საბჭოურობის ლაქას, მაგრამ აწყდება უაღრესად ძნელადდასაძლევ პრობლემებს. უპირველესად იმისათვის, რომ არაოფიციალური არჩევნები იყოს საყოველთაო, რათა მასში მონაწილეობა მიიღოს **საქართველოს კანონიერი მოსახლეობის** სულ მცირე 51 პროცენტმა. აუცილებელია, რათა ეს არაოფიციალური არჩევნები იყოს **ერთადერთი**. თუ ამ არჩევნების ჩატარებამდე არ გამოცხადდა მისი ერთადერთობა, მოსახლეობის და არა მხოლოდ არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ალბათ ოფიციალურ საბჭოთა არჩევნებს დაელოდება. არ არის გამორიცხული ისეთი კურიოზიც, რომ ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა ორივე არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, არაოფიციალური საყოველთაო არჩევნების ორგანიზება თავისთავად კოლოსალურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელსაც სულ ადვილად შეიძლება შეუშალოს ხელი რესპუბლიკის კომუნისტურმა მმართველობამ. მმართველობა ძლიერი დაწოლის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება წინასწარ გამოაცხადოს არაოფიციალური არჩევნების ერთადერთობა, რადგან ცხადია, რომ ის პოლიტიკური სარბიელის ასე ადვილად მიტოვებას არ აპირებს. ამასთან, ეროვნულ ფორუმს გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევნების შემდეგ (ისიც, თუ ეროვნული კონგრესი მოსახლეობის 51 პროცენტით, ანუ უმრავლესობით, აირჩეოდა) მოეხდინა დაწოლა არსებულ კომუნისტურ მმართველობაზე მის გასაუქმებლად. ასე რომ, არაოფიციალური, წინასწარ ერთადერთად არგამოცხადებული, არჩევნების შემთხვევაში საეჭვოა მასში კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობამ მიიღოს მონაწილეობა. არსებობს უმნიშვნელოვანესი, არაოფიციალურად არჩეული იურიდიული პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მქონე სუბიექტად გახდომის პრობლემაც. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ საქართველოში არაოფიციალურ არჩევნებზე საერთაშორისო მეთვალყურეები გამოცხადდნენ, ან აღიარონ ამრიგად არჩეული ორგანო სამართლებრივ სუბიექტად. ამიტომ, ზემოთჩამოთვლილ სირთულეებს მათი გადაჭრის შემდგომ კიდევ ერთი პრობლემა ემატება — ბრძოლა ეროვნული კონგრესის საერთაშორისო სამართალ-სუბიექტად გახდომისათვის. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სირთულეები არ დაიძლია, არასაბჭოურ არაოფიციალურ არჩევნებს მაინც აქვს აზრი, რადგან მოხდება საქართველოს მოსახლეობის თუნდაც უმცირესობის მიერ გარკვეული ორგანოსადმი ნდობის მანდატის გადაცემა, რომელსაც ამის შემდეგ უკვე ექნება მორალური (სამწუხაროდ, მხოლოდ მორალური) უფლება საქართველოს მოსახლეობის თუნდაც ამ უმცირესობის სახელით ილაპარაკოს. დღემდე ასეთი არც მორალური და არც იურიდიული უფლება **საქართველოში არავის** არა აქვს ეს, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება უდაოდ, მაგრამ ასეთი ტემპებით ალბათ ვერ შევძლებთ არსებული პოლიტიკური ჩამორჩენის დაძლევას დღევანდელ უაღრესად სწრაფი პოლიტიკური დინამიკის ეპოქაში.

აღნიშნულ თუ არაღნიშნულ მიზეზთა გამო, მრგვალი მაგიდის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები აყენებენ საქართველოში **ოფიციალური არასაბჭოური** არჩევნების ჩატარების საკითხს ბუნებრივია, არც ამ იდეის რეალიზაციაა წინააღმდეგობათაგან თავისუფალი, მაგრამ მისი განხორციელება უფრო რეალისტურად და მეტი სარგებლობის მომტანად მიგვაჩნია. ოფიციალური არასაბჭოური მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საქართველოში უნდა არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია, რომლისათვისაც რამოდენიმე წინაპირობაა აუცილებელი:

1. საქართველომ უნდა შეიძინოს თავისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. ამისათვის საქართველოს უნდა შეეცვალოს შეიარაღებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად თავსმოხვეული უკანონო სახელი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ალბათ არ არის გამართლებული ამ ეტაპზე გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მსოფლიო პოლიტიკა დამოუკიდებლად სცნობს ქვეყანას მხოლოდ შემდეგი პირობების იურიდიული და ფაქტიური შესრულების შემთხვევაში — ა) ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ აშკარად გამოხატული ნება. ბ) ქვეყნის ტერიტორიის იურიდიულად დადგენილი საზღვრები და გ) ქვეყნის დამოუკიდებელი მთავრობის სრული სუვერენიტეტი (კონტროლი) მის მთელ ტერიტორიაზე. ამ პირობათა შეუსრულებლობა ართულებს ლიტვის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ცნობას იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებსაც ბალტიის ქვეყნები არასდროს უღიარებიათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მით უფრო გაჭირდება საქართველოს მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის მსოფლიო აღიარება. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია უნდა გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდის დროებითმა ხელისუფლებამ ზემოჩამოთვლილ პირობათა შესრულების შემდგომ (და არა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ერთპარტიულმა — კომუნისტურმა ე. წ. უზენაესმა საბჭომ), რის შემდგომაც უნდა დაინიშნოს დამოუკიდებელი საქართველოს საყოველთაო დემოკრატიული თავისუფალი არჩევნები. ამასთან, ქვეყნის სახელწოდების შეცვლა, (ბუნებრივია შეიცვლება სახელმწიფო სიმბოლიკაც) ფაქტობრივად ნიშნავს **გარდამავალი პერიოდის იურიდიულ დამტკიცებას**, რადგან საქართველოს რესპუბლიკა — **არასაბჭოთა და არასოციალისტური** — იურიდიულად ველარ ჩაითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში მყოფად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ამ ეტაპზე არგამოცხადება ალბათ ნაკლებრეალურს გახდის საბჭოთა კავშირის მხრიდან საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადას, რაც დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე თვითმიზნად არ უნდა დავისახოთ.

2. უნდა შეჩერდეს საბჭოთა კავშირის ანტიჰუმანური, არადემოკრატიული კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

3. საქართველოს საბჭოური კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, დროებითი კონსტიტუციის შემუშავება, 1921 წლის კონსტიტუციის დაბრუნება თუ საკანონმდებლო აქტებით ქვეყნის მართვა გარდამავალი პერიოდის დროებითი მთავრობის პრეროგატივად უნდა ჩაითვალოს.

ამ პირობების შესრულება არსებული ხელისუფლებისაგან რეალურად არის შესაძლებელი, რადგან ისინი ლოგიკურად არ ეწინააღმდეგებიან მისსავე მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამდენად მათი არგანხორციელება არსებული მმართველობის მხრიდან ჩაითვლება, მხოლოდ როგორც მორიგი აღსრულება ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატისა. რასაც, **ამ კონცეფციის მიღების შემთხვევაში**, ქართველი ერი მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით უნდა დაუპირისპირდეს.

ზემოთ აღნიშნულ პირობათა შესრულების შემდეგ შეიძლება შეიქმნას ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკური ძალების და საზოგადოებრიობის ერთობლივი საარჩევნო კომისია, რომელიც რეგისტრაციაში შეუზღუდავად გაატარებს ყველა იმ ნამდვილ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას. რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებულ პროგრამასა და პლატფორმას და წინააღმდეგობაში არ მოდის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა [illegible] მოადგენს კანონიერ[illegible] ლეობის სტატუსი [illegible] რა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ოფიციალურ არასაბჭოურ არჩევნებში რამოდენიმე თვით ადრე საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას საშუალება მიეცეს ერთნაირ პირობებში აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია. გარდამავალი პერიოდის დროებითი ხელისუფლების არჩევნების პარალელურად უნდა გაუქმდეს დე-ფაქტოდ არსებული ე. წ. უზენაესი საბჭო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც საკავშირო კომუნისტური პარტიის ნაწილს წარმოადგენს, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც არ ქადაგებენ ძალადობას, ფაშიზმს, რასიზმს და **არ ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის პარტიებს ან ორგანიზაციებს.** ამდენად, ქართველ კომუნისტთა ოფიციალურ არასაბჭოურ არჩევნებში მონაწილეობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ თუ ისინი ორგანიზაციულად არ დაექვემდებარებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

გარდამავალი პერიოდის უმაღლესი ხელისუფლების მთავარ დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივი საფუძვლების მომზადება.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის სახელით:**

ზვიად გამსახურდია, გიორგი მარჯანიშვილი, ავთანდილ რცხილაძე, თემურ ქორიძე.

**წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით:**

თედო პაატაშვილი, მერაბ ურიდია, გელა ჩორგოლაშვილი, თამაზ ველესიანი,

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის სახელით:**

თემურ ჟორჟოლიანი, აკაკი ასათიანი, გია ხონელიძე, თენგიზ კიტოვანი,

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით:**

ვაჟა ადამია, ჯემალ გოლეთიანი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, დავით კუპრეიშვილი,

**საქართველოს მწვანეთა პარტიის სახელით:**

ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე,

**საქართველოს ფედერალურ-რესპუბლიკური პარტიის სახელით:**

ირაკლი შენგელაია, დავით მარღანია,

**მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის სახელით, მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრები:**

თენგიზ სიგუა, ვახტანგ ბახტაძე, გიზო კორძაძე, ზვიად ბოკუჩავა, თენგიზ დიხამინჯია, ალეკო მელაძე, გიორგი ხავთასი,

თბილისი, 1990 წლის 12 მაისი.

**P. S.** მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფის პოლიტიკური კონცეფციის ავტორები თვლიან რომ შეთავაზებული კონცეფციის გარშემო შეიძლება გაერთიანდნენ, როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ახევე კერძო პიროვნებები, რომლებიც საბჭოურ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს არაკანონიერად მიიჩნევენ და ძირითადად ეთანხმებიან ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 11/III სართული, მრგვალი მაგიდის დარბაზი. ტელ.: 93-78-73, სააგენტო „მაცნე“.

ალტერნატიული ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასუხი პროგრესისტ-დემოკრატებს

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ ამა წლის 1 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის მიმართვა საქართველოს კანონიერი მოსახლეობისადმი. მიმართვაში გამოთქმული იყო შეშფოთება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური დამცავი მექანიზმის არარსებობის გამო შეუძლებელი ხდება მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების ეროვნული ინტერესების შესაბამისად რეგულირება და ფაქტობრივად საქართველო კრემლის ნეოკოლონიალური ეკონომიკური პოლიტიკის პოლიგონად არის ქცეული. ამ მიმართვაში, სხვათა შორის, გამოხატული იქნა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოში ახლად შექმნილი პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის მიმართ. ჩვენი მიმართვის პასუხად 8 მაისს „ახალგაზრდა ივერიელში“ დაიბეჭდა პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება, სადაც ჩვენი პარტიის მიმართვა დაუსაბუთებლად იქნა შერაცხული.

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია ნეოკონსერვატიული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლისთვისაც საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ წარმოადგენს „დემოკრატიზაციის პროცესს“, მითუმეტეს არც „საქართველოს ეკონომიური პოტენციალის განსაზღვრას საკავშირო ბაზარზე“, როგორც ეს მიაჩნია პ. დ. პ-ს, არამედ ჩვენს მიერ განიხილება, როგორც დღეს არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სტრუქტურების საქართველოს ისტორიულ ტრადიციებზე დაყრდნობით მოსახდენი ძირეული ცვლილებები, ანუ რესტავრაციის პრინციპის განხორციელება. ჩვენი აზრით, ნებისმიერი სახელმწიფო ზემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურათაგან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანით არ განისაზღვრება, არამედ სინთეზია ამ ნაწილებისა და როცა პრიორიტეტს ვანიჭებთ ნაწილს, ვარღვევთ მთელს. ამ სტრუქტურათაგან, რომელიმესადმი, თუნდაც ეკონომიკურისადმი პრიორიტეტის მინიჭება(ეკონომიკური დეტერმინიზმი) ან პოლიტიკური უმეცრებაა, ანდა ის რეციდიული სენი, რომელიც ეგზომ გამოკვეთილად ახასიათებთ კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული და სხვა „პროგრესული“ იდეოლოგიის მქონე პარტიებს.

პროგრესისტ-დემოკრატები თავიანთ განცხადებაში აღნიშნავენ, რომ მათი პარტიის „ახლანდელ ამოცანად და მიზნად რჩება ის, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, ე. ი. გადაჭრან ის პრობლემები, რომელთა გადადება არ შეიძლება“. ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, არა მარტო პ. დ. პ-ს, არამედ ჩვენი და მთლიანად ეროვნული მოძრაობის მიზანიც არის, მაგრამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია, როგორც ჩვენდა სასარგებლოდ, ასევე საზიანოდაც.

პროგრესისტ-დემოკრატების აზრით, „საქართველომ დროის დაუკარგავად უნდა დაიწყოს რადიკალური ეკონომიური რეფორმის გატარება“. ჩვენს მიმართვაში შეძლებისდაგვარად დავასაბუთეთ, თუ რატომ არის კრემლის ეკონომიკური პოლიტიკისათვის ხელის შეწყობა საქართველოს დღევანდელ ვითარებაში ეკონომიკური პრობლემების პრიმატის აღიარება და მათი ხელაღებით გადაჭრის მცდელობა. თუ ზოგიერთისთვის ეს გაუგებარი დარჩა, გავიმეორებთ: დღეს შეუძლებელია ვაწარმოოთ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა, რადგან სანამ არ დამკვიდრებულა ნამდვილი მრავალპარტიულობა და შესაბამისად არ ჩამოყალიბებულა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ინტერესების გამომხატველი დამცავი თავისუფალი პოლიტიკური მექანიზმი, თუნდაც საპარლამენტო ფრაქციის სახით, ყოვლად წარმოუდგენელია, თუ გნებავთ, „ფართო საზოგადოების მონაწილეობითაც“, ისიც „სასწრაფოდ საქართველოს ძირითადი სიმდიდრის, ნედლეულის ბაზის მოპოვებისა და რეალიზაციის სისტემის შეცვლა და სხვა ეკონომიური პრობლემების მოგვარება ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ვინ უნდა ჩაატაროს რადიკალური რეფორმა? იმ უზენაესმა საბჭომ ხომ არა, რომელიც შვიდწუთიან სესიებს იწვევს მოჩვენებითი მრავალპარტიულობის დეკლარირებისა და კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად? პროგრესისტ-დემოკრატები აცხადებენ, რომ „დღეს შეცდომა დაუშვებელია — ერთმა ინსტრუქციამ შეიძლება უაზროდ აქციოს მთელი რეფორმის მიმდინარეობა“, ე. ი. ჩვენი პროგრესისტები დარწმუნებულები არიან, რომ უზენაესი საბჭო ნამდვილად „კარგ“ რეფორმებს გაატარებს და ახლავე სტეხენ განგაშს იმის გამო, რომ რომელიმე უწყება არ გამოჩნდეს, რაიმე ისეთი ინსტრუქცია არ გამოსცეს, მთელი რეფორმა წყალში არ გადაგვიყაროსო. მათ ავიწყდებათ, რომ არსებულ პირობებში სასწრაფო რეფორმებითა და ცვლილებებით ისევ კრემლია დაინტერესებული, რომელსაც სურს კოლონიალური პოლიტიკა ნეოკოლონიალურით შეცვალოს; ე. ი. „ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი“, ანუ ტოტალიტარული ეკონომიკის მაგივრად „ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის“ მართვაში რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ელემენტები შემოიტანოს. პროგრესისტ-დემოკრატები აცხადებენ, რომ ეროვნულ მოძრაობას არა აქვს „ამ პროცესის დისკრედიტაციის უფლება“ და რომ „ძირითადი ყურადღება ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაზე უნდა იქნეს გადატანილიო“. ჩვენი პროგრესისტების თვალსაზრისი ეკონომიურ საკითხებზე მთლად მწყობრი არ უნდა იყოს. ჩვენთვის, მაგალითად, გაუგებარია — რას ნიშნავს გეგმურ-საბაზრო ეკონომიკა? ასეთი რამ არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ცენტრალიზებული დირექტიული დაგეგმვა და ბაზარი შეუთავსებელი ცნებებია. ისინი კი უბრალოდ „არ ეთანხმებიან მთავრობის საბაზრო-გეგმიური ეკონომიკის ჩანაფიქრს“ და მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის ასეთი ფორმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარკვეული ეტაპი“. რახან ასეა, ე. ი. მათ სცოდნიათ — რას წარმოადგენს ეს ე. წ. გეგმიურ-საბაზრო ეკონომიკა და იმედია აგვიხსნიან, იქნებ არც დაჭირდეთ ამ საკითხზე კიდევ ერთი კონფერენციის მოწვევა... ყოველივე ამისა და მსგავსი განცხადებების შემდეგ, რაც პროგრესისტ-დემოკრატებს სხვა „ახალ“ სოციალისტ-მარქსისტებთან ერთად რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის, ე. ი. კრემლის ეკონომიური პოლიტიკის და მიმდინარე ნეოკოლონიალური რეფორმების ურყევ მომხრე-დამცველებად წარმოაჩენს, სრულიად გასაგები და დასაბუთებული უნდა იყოს ჩვენი პარტიის ნეგატიური დამოკიდებულება მათი საქმიანობისადმი.

რაც შეეხება პროგრესისტ-დემოკრატების საყვედურს: „საერთოდ განცხადების გაკეთებამდე სასურველი იქნებოდა შეხვედრა და ურთიერთის პოზიციის გარკვევაო“, უნდა ვუპასუხოთ: მათი პოზიცია ჩვენთვის უკვე ცნობილია, ხოლო ჩვენი პარტია ეროვნული სამართლიანობის პარტიის მემკვიდრეა, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო საქართველოს ეკონომიურ რეფორმას. მსურველებს, მათ შორის პროგრესისტ-დემოკრატებსაც, შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ გაზეთ „უწყებანში“, ოფიციალურ პრესაში პარტიის პლატფორმაში, 1990 წლის იანვარში უნივერსიტეტში გამართული პოლიტიკური ორგანიზაციების პირველ კონფერენციაზე რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის მიერ წარმოდგენილ ეკონომიკურ დოქტრინას. ერთიც არის გასათვალისწინებელი, თუკი პროგრესისტ-დემოკრატები „კონკრეტულ, ფაქტობრივ საკითხებზე, კანონ-პროექტებსა და დებულებებზე“ ჩვენთან დისკუსიას აპირებენ: მათ არ სურთ, როგორც თვითვე აღნიშნავენ, ჩვენგან განსხვავებით „ზოგად პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე“ პოლემიკის გამართვა. თურმე ისინი „აკეთებდნენ საქმეს, რომლის გაკეთებაც გადაუდებლად მიაჩნიათ და რომლის სიმართლეშიც დარწმუნებულნი არიან“. ჯერ ერთი, ზოგად პრინციპებზე შეთანხმების გარეშე, როგორ შეიძლება რაიმე დისკუსიის გამართვა და კონსტრუქციული ცვლილებების დაგეგმვა ჩვენს ეკონომიკაში; მეორეც, ვინ მისცა პროგრესისტებს, თუნდაც ისინი „დემოკრატებიც“ ბრძანდებოდნენ სიმართლის მონოპოლიზირების უფლება, ანდა ვინ შეაფასა „მათი საქმე“ რამდენად სასწრაფო და გადაუდებელია? ალბათ იმ კონფერენციამ, რომელიც ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართეს თავიანთი „დიდი ეკონომისტების“ მონაწილეობით თვითრეკლამის მიზნით (სხვა რაიმე შედეგი იმ ფართოდ რეკლამირებულ კონფერენციას არ მოჰყოლია).

საბოლოოდ ერთსაც დავამატებთ: პროგრესისტების საპროგრამო დოკუმენტებში (მკითხველს შეუძლია გაეცნოს 1990 წლის 6 აპრილის გაზეთ „თბილისში“) პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ „სამართლებრივი ფედერაციის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ არსებულის დაშლით და შემდგომ სუვერენულ რესპუბლიკათა (?!) სურვილისამებრ სახელშეკრულებო გაერთიანების საფუძველზე“. თუ რა განსხვავებაა პროგრესისტების ამ განცხადებასა და „განახლებული ფედერაციის ფარგლებში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ დადების იმპერიულ გეგმებს შორის, ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ახლა ნამდვილად საჭიროა ყველა „ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია“, როგორც ამას პროგრესისტები აცხადებენ, მაგრამ საკითხავია — ნუთუ მართლაც ერთია უკლებლივ ყველას მიზანი? ჩვენს მიმართვაში ამის თაობაზე ეჭვი იყო გამოთქმული, რომელიც ვერ გაგვიფანტა პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის განცხადებამ.

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წევრები:

**თემურ ბასილია,**
**ზურაბ მაისურაძე,**
**დავით ზარდიაშვილი.**

# პატივცემულო რედაქცია

**1 მაისის პუბლიკაციაში — „პატივცემულო რედაქცია“, რუსთავის ავღანეთის ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტი მიხეილ გელაშვილი აკრიტიკებდა საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის დამფუძნებელ კონფერენციას, მასზედ მიღებულ წესდებას. პუბლიკაციას არ ჰქონია ჭეშმარიტების პრეტენზია. ის უფრო ავღანეთის ანტიჰუმანურ ომთან და მასში ჩვენი რესპუბლიკიდან იძულებით გაწვეული ბიჭების შესახებ საუბრის დაწყებისთვის იყო გამიზნული. ამასთან, ის გარკვეულად გამოხატავდა საზოგადოებაში არსებულ შეშფოთებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ავღანეთის ომის ვეტერანთა პოტენციალი. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დამფუძნებელი კონფერენციის შემდეგ წესდება დაიხვეწა, უფრო გამოიკვეთა კავშირის ფუნქციები; კავშირის წევრებთან საუბრისას გამოჩნდა, რომ ისინი მზად არიან თავიანთი სიტყვა თქვან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.**

**დღეს გამოქვეყნებული წერილი კი მათი საპასუხო რეაქციაა 1 მაისის პუბლიკაციაზე.**

თქვენი გაზეთის 1990 წ. 1 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „პატივცემულო რედაქცია“ გამო, რომელიც ეხება საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირს, გთხოვთ საზოგადოებას გააცნოთ კავშირის წევრთა პოზიცია.

„ახალგაზრდა ივერიელის“ ზემოხსენებულ ნომერში ავტორი წერილის საშუალებით თავს უფლებას აძლევს, გაილაშქროს ამ კავშირის წინააღმდეგ; რომელიც აერთიანებს ახალგაზრდებს, რომლებმაც თავიანთი ნების გარეშე (რაც ყველასათვის ნათელია) დაკარგეს ჯანმრთელობა და შეინარჩუნეს ერთობა, დაღუპული მეგობრების ხსოვნა, რომელთა წინაშეც ყოველი ავღანეთში ნაბრძოლი ახალგაზრდა მოვალედ გრძნობს თავს.

როგორც წერილშია მოხსენებული, ჩატარდა საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის რეგიონებიდან ავღანელ ვეტერანთა წარმომადგენლები, დელეგატები. კონფერენციაზე მიმდინარეობდა ავღანეთის ვეტერანთა კავშირის წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა, სხვა საქმიანობრივ საკითხების გარჩევა, რასაც ყოველი ჩვენთაგანი სრული პასუხისმგებლობით და სერიოზულად მოეკიდა. სწორედ ამ დროს, იმის გამო, რომ კონფერენციამ არ გაიზიარა მისი ზოგიერთი მოსაზრებები და ეხლაც მიგვაჩნია, რომ მათი გაზიარება არც შეიძლებოდა, წერილის ავტორმა მოძებნა ყველაზე იოლი გამოსავალი და დატოვა კონფერენციის დარბაზი. როგორც ავტორი აღნიშნავს, მას სოლიდარობა გამოუცხადეს და მხარი დაუჭირეს ქალაქ რუსთავიდან: ცხოვრებოვმა, ალიევმა, მარნეულის რაიონიდან ატახალიევმა, გარდაბნის რაიონიდან: შახვერდიევმა. წერილის ავტორი თავის პასკვილში აღნიშნავს „რაოდენ სამწუხაროა, რომ იქვე მსხდომმა ქართველებმა ხმა მისცეს კავშირის წესდების პროექტს“. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, როგორც ჩანს, წერილის ავტორი საკმაოდ ვერ ერკვევა წესდების პროექტში და მცდარ გადაბრუნებულ შეფასებას იძლევა ამა თუ იმ მუხლის მიმართ.

ავტორს ავიწყდება, რომ ჩვენი კავშირის ძირითადი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს (როგორც მატერიალური, ასევე მორალური) დაღუპულთა ოჯახებს, ინვალიდებს და საერთოდ ყველა ავღანეთის ვეტერანს. ვიცით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი და, ჩვენი აზრით, ამ კავშირის შექმნა ნაჩქარევი კი არაა, საკმაოდ გვიანაც არის. და კიდევ ერთი არავის უნდა დაავიწყდეს, რომ არ არსებობს „ქართველი ავღანელი“, არსებობს მხოლოდ, ავღანეთში ნაბრძოლი, ახალგაზრდა, რომელიც ავღანეთის ბრძოლებში მიღებულ გამოცდილებას (არადა ასეთი გამოცდილება, სამწუხაროდ, საკმაოდ დაგროვდა) მოახმარს და ახმარს კიდეც თავის სამშობლოს და ერის დღევანდელ კეთილდღეობასა და ბედნიერ მერმისს.

საქართველოს საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი (რომელსაც არავითარი პრესა და რეკლამა არ ესაჭიროება), თუ რა ადგილი უჭირავთ ეროვნულ მოძრაობაში ავღანეთის ვეტერანებს. უხერხულად გვეჩვენება ამის შეხსენება, მაგრამ, მაგალითად: ტრაგიზმით სავსე შარშანდელი აპრილის დღეებიც კმარა.

წერილის ავტორის მოქმედების გამო, კავშირის წევრების აზრით კონფერენციის დარბაზის დატოვება, რაც ომის დროს ბრძოლის ველის დატოვების ტოლფასია, სხვა არაფერია, თუ არა ღალატი. და ის ფაქტი, რომ წესდების პროექტის საბოლოო სახე ავტორისათვის ცნობილი არ იყო და მიუხედავად ამისა, იგი მაინც საწინააღმდეგო წერილს ამზადებდა პრესის ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად, საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, ჩვენი და ჩვენი მეგობრების სახელით, რომ წერილის ავტორმა მეტად საპასუხისმგებლო საქმისადმი გამოიჩინა მეტად ამბიციური, არასწორი მიდგომა და თავისი ნაუცბადევი წერილით ჩირქი მოსცხო ჩვენს კავშირს, თვითეულ ვეტერანს.

**დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატები:**

**ბესიკ ციხისელი,**
**ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ავღანეთის ვეტერანთა საბჭოს სახელით, თავმჯდომარე,**

**გურამ ალავიძე,**
**ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის ავღანეთის ვეტერანთა საბჭოს სახელით, თავმჯდომარე,**

**თემურ ჭელიძე,**
**ქ. თბილისის კალინინის რაიონის ავღანეთის ვეტერანთა საბჭოს სახელით, თავმჯდომარე.**



## ახალი სამთავროვო გაზეთი

გამოვიდა ახალი ყოველკვირეული გაზეთი „რესპუბლიკა“ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო.

„მთავარი ის არის, ვინ რას, რანაირად და როგორი გულით გააკეთებს თავისი რესპუბლიკისათვის. ჩვენთვის ეს მთავარია და შევეცდებით ახალი გაზეთი იყოს ამის უპირველესი დასტური“, — არის აღნიშნული მე-5 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის „როგორი გაზეთი გვჭირდება დღეს“ წინათქმაში. გაზეთი იხსნება ინტერვიუთი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნოდარ ჭითანავასთან, დაბეჭდილია სხვა საინტერესო მასალები ეროვნულ-დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სპორტულ და სხვა საკითხებზე.

„რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორია ჯემალ ნინუა, გაზეთის სათაური და პირველი ნომერი გააფორმა მხატვარმა ემილ ბურჯანაძემ.




# გურამ შარაძე

# „თეთრი გიორგი"

ყურადღება უნდა მიექცეს 1920-30-იან წლებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მომხდარ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს: ახალგაზრდა თაობა არ დაკმაყოფილდა უფროსი თაობის პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებითა და მოქმედების ფორმებით და ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაცია თავ-თავიანთი ბეჭდვითი ორგანოებით. კერძოდ, 1924 წლის 24 ოქტომბერს, **გენერალ ლეო კერესელიძის** წინამძღოლობით, პარიზში დაფუძნდა საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის" ორგანიზაცია, რომლის გაზეთის „თეთრი გიორგის" პირველი ნომერი პარიზში გამოვიდა 1926 წლის 25 აგვისტოს. „თეთრი გიორგის" გამოცემა გაგრძელდა 1939 წლის ივლისამდე( სულ გამოვიდა 106 ნომერი) დევიზით: „საქართველო უწინარეს ყოვლისა!"

სანამ შევეხებოდეთ „თეთრი გიორგის" ორგანიზაციას და მის

საქართველო უწინარეს ყოვლისა

**თეთრი გიორგი**

ბერლინის გამოცემა

ფასი 40 ფენიგი N 3 აგვისტო 1930. REDAKTION L. KERESSELIDZE BERLIN-SCHOENEBERG Wexstr. 62

ხილი გმირისა.

"მე ხიყერო, რაჲი განხარ, რაჲ გვაჩრუნეშ რა მრე გქირხა.
ხაღაურხა ხაღ ჰაიყვან, ხაღ აღუფჰვრი ხაღით ძირხა."

იდეოლოგიას, მოქმედების პროგრამას და დეკლარაციას, მანამდე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ამ ორგანიზაციის დამაარსებელზე — გენერალ ლეო კერესელიძეზე. თუმცა, იქნებ სჯობდეს ამის შესახებ მოვუსმინოთ დიდ ქართველ მეცნიერს და პოლიტიკურ მოღვაწეს, პროფესორ მიხაკო წერეთელს:

„ლეო პირველად 1904 წელს გავიცანი ჟენევაში. ახალგაზრდა, იდეალიზმით აღსავსე, სამშობლოს სიყვარულით აღტკინებული და მისი განთავისუფლების რწმენით, იგი იმედის აღმძვრელი იყო ყოველი ეროვნულად განწყობილი ქართველისათვის, რომ საქართველოს კარგი ახალი თაობა, მებრძოლი ახალი თაობა ჰყავდა. ლეო პატრიოტიზმით განთქმული დედმამის შვილი იყო და აგრეთვე ნათლული არა მარტო მირქმით, არამედ სულიერადაც დიდი ქართველი პატრიოტის ანტონ ფურცელაძისა და ამ სულიერ ატმოსფეროში აღზრდილი, მას მაშინვე ეტყობოდა, რომ იგი ბრძოლისათვის იყო დაბადებული და ბრძოლა იქნებოდა შინაარსი მთელი მისი ცხოვრებისა. და მართლაც, იგი დაუკავშირდა 1904 წელშივე მაშინ პარიზში მოქმედ ქართველ მებრძოლ ნაციონალისტთა ჯგუფს, რომლის მეთაურიც იყო გიორგი დეკანოზიშვილი. როდესაც 1905 წელს რევოლუციის დასაწყისში გიორგი დეკანოზიშვილმა საქართველოს ნაპირებს იარაღით დატვირთული გემები მიაყენა, ლეო იყო ამ გემზედ სხვა ახალგაზრდა ქართველებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით და ენერგიით ერთი ნაწილი მაინც იმ იარაღისა შემოვიდა საქართველოში.

1905 წელს ლეო თბილისში ვნახე, იარაღით ხელში მებრძოლი არა მარტო მოქალაქის თავისუფლებისა, არამედ სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის. იგი დაკავშირებული იყო მაშინდელ მებრძოლ ნაციონალისტთა, ფედერალისტთა პარტიასთან და მათი დავალებით ბევრ ბრძოლაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, ხოლო როდესაც ერთი ძლიერი ძნელად გასაბედავი რევოლუციური საქმე ვერავინ ვერ გაბედა, ან გაბედა და ვერ აღასრულა, ბოლოს ლეომ აიღო და საზღაპრო გმირობით შეასრულა იგი. ეს იყო ცნობილი დუშეთის საქმე. მაგრამ ბოროტ ადამიანთა ენამ მას საზიზღარი ცილი დასწამა, თითქოს იგი იმ საქმითგან წმიდად არ გამოსულიყოს. ხოლო ვაცხადებ აქ საჯაროდ, ვითარცა თანადამხდური მოწამე იმ საქმისა, რომ ლეო კერესელიძეს მაშინ გარდა გმირობისა არა ჩაუდენია რა. რასაც მას სწამებდნენ, იგი სხვებმა ჩაიდინეს, — ხოლო ლეო დევნილი რუსის მთავრობისგან და ცილ-წამებული მათ მიერ, ვისი მოვალეობაც მისი დაცვა იყო, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. იგი კვლავ ჟენევაში დაესახლა, სადაც მას შეუერთდნენ მალე ძმა გიორგი და მისი ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი.

ჟენევაში ლეოს ბევრი სხვა ემიგრანტივით დრო ცუდად არ დაუკარგავს. მძიმე ემიგრანტულ პირობებში მან შესძლო ბრწყინვალედ დაემთავრებია იურიდიული ფაკულტეტი. მან დასწერა ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო თხზულებანი თავისი დარგისა და ამის შემდეგ უნივერსიტეტმა იგი პრივატ-დოცენტად მიიწვია, მაგრამ ამავე დროს იგი ქართულ საქმესთან ყოველთვის ახლოს იდგა. როდესაც განსვენებული პეტრე სურგულაძე ჟენევაში გადაესახლა საქართველოთგან, იქ დაარსეს მან, ლეომ, მისმა ძმამ გიორგიმ და მათმა მეგობრებმა „სეპარატისტთა ჯგუფი" ქართველთა, რომლის ორგანო იყო „თავისუფალი საქართველო", და 1914 წლამდე, დიდი ომის დაწყებამდე, ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად და დიდ ომში სამოქმედოდ... „სეპარატიული ჯგუფის" სახელით დაიჭირა ლეომ გერმანელებთან საქმე 1914 წელში ომის გამოცხადებისთანავე: ჯერ ბერლინში გერმანელებთან და მერმე სტამბოლში თურქებთან მან დასდვა პირობანი, რომელთა ძალითაც ქართველებს ჯარი უნდა შეედგინათ ოსმალეთის ტერიტორიაზედ და ებრძოლათ თურქებთან და გერმანელებთან ერთად რუსეთის წინაამდეგ, ხოლო თუ გამარჯვება რუსეთის მტერთ დარჩებოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ცნობილი გამარჯვებულთაგან იმ საზღვრებში, რომლებშიც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა, მალე განსვენებული გიორგი მაჩაბელიც და მეც, რომელთაც აგრეთვე საქმე გვქონდა დაწყებული აქ გერმანელებთან, შეუერთდით სტამბოლში პ. სურგულაძეს, ლეოს, მის ძმას გიორგის, ნ. მაღალაშვილს და სხვებს, და იქ დაარსდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", რომელმაც საქართველოს განთავისუფლების საქმეში მაშინ თავისი როლი აღასრულა, — ლეო 1915 წლის განმავლობაში ქართული ლეგიონის შექმნის საქმეში მთავარ მონაწილეობას იღებდა და აგრეთვე ფრონტზედაც იყო და იბრძოდა ყველგან. ქართული საქმისათვის ბრძოლა საჭირო იყო. ხოლო 1916 წელს, როდესაც ქართული ლეგიონის შექმნა დასრულდა, ლეო იყო პირველი კომანდირი მისი, და შემდეგაც, როდესაც მისი ადგილი გერმანელმა დაიჭირა, რასაც თავისი აზრი ჰქონდა, ლეოს თავისი ადგილიდან მებრძოლისა ფეხი არ მოუცვლია ომის დასრულებამდე.

ლეო კვლავ ვნახე განთავისუფლებულ საქართველოში, რომელსაც მან ქართული ლეგიონის ნაშთით ჩემზედ ადრე მიაშურა. მაგრამ მას ერთი წუთითაც არ ღირსებია მოსვენებული ცხოვრება და გახარება საყვარელ სამშობლოში, რომლის თავისუფლება მისი ოცნება იყო და ეს მისი ოცნებაც, ახლა განხორციელებული, იგი 1921 წლამდე, უკანასკნელ წუთამდე მისი ქვეყნის თავისუფალი არსებობისა, იარაღით ხელში, ებრძოდა, თვის მხედართა თავში მდგომი, ხან საქართველოს, და ხან კავკასიის სხვა ერთა მტრებს, და ვერც საქართველო და ვერც მთა კავკასიისა მის ღვაწლს ვერ დაივიწყებს არა მარტო როგორც მებრძოლისა, არამედ აგრეთვე როგორც მხედართა წინამძღოლისა; ღენერლისა, რომელი ღირსებაც მან თავისი ბრძოლით დაიმსახურა და მას მიენიჭა.

უკუღმართმა ბედმა საქართველოსი კვლავ უცხოეთში შეგვყარა ლეო და მე, როგორც სხვა ბევრი ქართველი, 1921 წლის შემდეგ. — და აქაც საგანი მის ზრახვათა და გრძნობათა საქართველო იყო. და როდესაც პარიზში დაარსდა ახალგაზრდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი" და ეს იყო დასაწყისი დიდი ახალი ქართული ეროვნული მოძრაობისა, ლეო პირველი მივიდა ახალგაზრდობასთან, ჩაუდგა სათავეში მოძრაობას, გაზარდა, გააფართოვა და გააღრმავა იგი, შეუქმნა იდეოლოგია. ამ მოძრაობამ თავისი ტალღა საქართველოშიც გადაისროლა, — მის ღირსეულ მეთაურად დარჩა ლეო 1925 წლიდგან უკანასკნელ ჟამამდე (1944 წ.) მისი ცხოვრებისა" (იხ. ჟურნალი „ქართველი ერი", ბერლინი, 1944, № 6/7, გვ. 58-59).






ახლა გავეცნოთ 1925 წლის 15 ივნისს, პარიზში გამართულ „თეთრი გიორგის" ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების დეკლარაციასა და მოწოდებას, რომელსაც მივაგენით ლევილის ქართულ წიგნთსაცავში:

(გაგრძელება იქნება).

**სურათებზე:** გენერალი ლეო კერესელიძე; პარიზსა და ბერლინში გამომავალი გაზეთები „თეთრი გიორგი".

„საქართველო უწინარეს ყოვლისა".

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა

„თეთრი გიორგი".

დამფუძნებელი კრების

დეკლარაცია.

1921 წ., თებერვალში, რუსეთი, რომელმაც ყველაზედ უწინ იცნო ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა და სამშვიდობო ხელშეკრულებაც დასდო მასთან, ურდო ჯარებით თავს დაესხა ახლად სახელმწიფოებრიობა აღდგენილ საქართველოს. მიუხედავათ გმირულ ტაბახმელა-კოჯორ-სოღანლუღის თავდაცვითი ბრძოლებისა, მტრის უამრავმა ფიზიკურმა ძალამ გადმოსტეხა საქართველოს საზღვარი და თავისუფლების მოტრფიალე ერს კვლავ რუსული მონობის უღელი დაადგა.

აღსრულდა!..

ერთხელ კიდევ გამოჩნდა მსოფლიოს წინაშე რუსული იმპერიალიზმი. ერთხელ კიდევ ნაკუწ ქაღალდათ აქცია რუსეთმა სუვერენულ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება.

ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა საშინელმა რუსულმა სტიქიამ მოიცვა საქართველო და თავისი დაუნდობელი ტალღებით ერთი მეორეზედ ანადგურებს საქართველოს სუვერენობის ყოველგვარ ნასახს. „კომსომოლას" მიუცდეს საცინებლად ერის სინიდისი, ერის სარწმუნოება. „კომსომოლას"-ვე დაუმორჩილეს ფაქტიურად ეროვნულ კულტურის კერა ქართული უნივერსიტეტი. რუსული მეთოდებით ანადგურებს ერის სახალხო მეურნეობა. საქართველო კოლონიაა რუსეთის მრეწველობისათვის; საქართველოში შემოყავთ ასობით და ათასობით ქართველი ერისადმი მტრულად განწყობილი უცხო ელემენტები და მათ ქართული საზონის ხარჯით ქართველი ერის მიწა-წყალზედ საშვილიშვილოდ ასახლებენ; რუსული ნაჯახით მოსჩეხეს ისედაც განაწევრებულ საქართველოს მისი მიწა-წყლის მთელი მეოთხედი და შით იყიდეს ოსმალეთის მეგობრობა და ამიერ-კავკასიის ერთა შორის ის მოჩვენებითი მშვიდობიანობა, რომელიც თავის სიღრმეში ატარებს ისეთი შუღლისა და შურისძიების ელემენტებს, რომელიც არასდროს ჯრსებულა ამ ერთა შორის. საქართველოს საკუთრებად ცნობილი ტერიტორიაც-კი ხელოვნურად რამოდენიმე ავტონომიურ რესპუბლიკებად დაანაწილეს.

ერთი სიტყვით, საქართველოში ყველა ბატონობს გარდა ქართველისა: საქართველოში ყველაფერი კეთდება გარდა ქართულისა; საქართველო ყველაფერია, გარდა საქართველოსა.

ქართველ ერს, რომლის ორიათას ნახევარი წლის ისტორია მხოლოთ ბრძოლაა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ საშინელ მონობას. მან ბრძოლითვე უპასუხა დამპყრობელთ. ოთხი წელიწადია სწარმოებს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდენ საქართველოში „დამოუკიდებლობის კომიტეტი", ხოლო საზღვარ-გარეთ, შემოხიზნული მთავრობა. ბრძოლის ერთი ეტაპი დამთავრდა 5.000 ქართველის სისხლით.

ქართველი ერის მიერ აღებული ბრძოლის ხაზი სწორია, მაგრამ ხელმძღვანელთა სისუსტემ იგი დროებით დაამარცხა. ეს უკანასკნელი აჯანყება, რომელიც უმომენტობის გამო პოლიტიკურ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, თავისდათავათ ერთ-ერთი დიდი მნიშვნელოვანი მომენტია ეროვნული განმანთავისუფლებელი ბრძოლისა და საქართველოს იდეის უაღრესი გამარჯვება.

აწ აღარ არიან ურწმუნო თომანი. ყველამ იწამა, რომ საქართველო არ გასტეხს ფიცს წარსულის წინაშე, რომ იგი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს თავისუფალი არსებობისათვის, ჭეშმარიტათ იგი აღსდგება! ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე, საქართველო უარს ვერ იტყვის სიცოცხლეზედ.

ბრძოლა ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დაჭიმვით. ამ ბრძოლაში სასოლოთ უნდა შეკავშირდეს მისი საიმედო ძალები.

ეროვნული ბრძოლის მაღალმა იდეამ უნდა მოსპოს პარტიული დაყოფა.

ეროვნულ ბრძოლისთვის ნებაყოფლობითი შეწირული ქართველი აუცილებლათ უნდა განთავისუფლდეს პარტიული, კლასიური თუ პირადი ინტერესებისაგან.

„საქართველო უწინარეს ყოვლისა" ეს უნდა იყოს დღევანდელი ქართველის ხმა.

ეს აუცილებლობა ვერ შეიცნეს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა. მათთვის ძნელი აღმოჩნდა პარტიული ხაზის გადალახვა. მათი პარტიული ინტერესები ჯერ კიდევ მაღლა დგას ეროვნულ იდეაზე.

ეს დიადი მცნებანი—ახალგაზრდობამ უნდა შეიცნოს. ახალგაზრდობამ, რომელიც მუდამ ბრძოლის ცეცხლს ატარებს, რომელიც მუდამ ეძიებს ახალს, ვერ გაჰყვება ძველი თაობის პარტიულ გზებს.

ის, რაც ვერ შესძლეს ჩვენმა მამებმა, შვილებმა გავაკეთოთ. მომავალი წინ გვიძევს, იგი ჩვენია. შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, შევქმნათ მებრძოლთა რიგები. პატრიოტული ახალგაზრდობა ამაყათ დასდგება ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე, რომელიც იტევს რამოდენიმე ათეულ საუკუნეთა ეროვნულ მებრძოლთა დიად სახელებს, რომლის განასლებული ქვაკუთხედია 5.000 საუკეთესო მამულიშვილთა უკანასკნელი ეროვნული საფლავი, რომელსაც თავს დასტრიალებს საშფერი დროშით საქართველოს გამარჯვების ემბლემა—თეთრი გიორგი.

აი ის ფართო ეროვნული ასპარეზი, რომელზედაც იშვა საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი".

საქართველო რელიგიაა ჩვენთვის. სამშობლოსათვის თავგანწირვა საღვთო ვალია ჩვენთვის.

ქართველი ერი მარადიულია!—ეს განვლილ 27 საუკუნის ურყევი სიტყვაა. მის სადიდებლათ მოვლენილი პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი"-ც ამიერიდან მარადიულია.

ჩვენი მიზანია:

სუვერენული, მთლიანი ძლიერი საქართველო.

1. ერის განთავისუფლება რუსეთის მონობისაგან.
2. საქართველოს მთლიანობის აღდგენა.
3. ბრძოლა რუსული ენის, აზროვნების და ყოველგვარი რუსულის ბატონობის წინააღმდეგ.
4. საქართველოს გაწმენდა მისდამი მტრულათ განწყობილი ელემენტებისაგან.
5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობის დაცვა მომავალში აჭრელებისაგან.
6. ეროვნული ქონებისა და სამეურნეო ასპარეზის დაცვა ქართველთათვის.
7. ქართველი ერის ფიზიკური, სულიერი და გონებრივი გაჯანსაღება.

ქართველი აზროვნების განთავისუფლება იმ მიუწდომელ ფანტასტიურ ოცნებათაგან, რომელნიც შლიან ეროვნული ძალების მთლიანობასა, თანამშრომლობას და ვერ ცნობიან ნაციონალურ სახელმწიფოს იდეას.

აი ის ჭეშმარიტად დიადი იდეა, რომლისათვისაც თავს იწირავს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი". იგი სულიერი მემკვიდრეა მათი, ვინც ათასი წლობით ივადდენ და ქმნიდენ საქართველოს ძლიერებას. ის დაუმკვიდრებს საქართველოს მის ისტორიულ ტრადიციებს, განამტკიცებს წესრიგს და შეადუღებს ერის აწმყო—მომავალს მის დიდებულ წარსულთან.

რისხვა მას, ვისაც არ უნდა შეიცნოს ეს უწმიდესი დიადი იდეა. ლახვარი მას, ვინც წინ აღუდგება ამ იდეას.

„თეთრი გიორგი" არის თავისუფალი უწმიდესი შეფიცვა უტყუარის პატრიოტიზმით აღგზნებულ ქართველთა, წინაშე საქართველოსა და ეროვნული უწმიდესი საფლავისა, სადაც თავისუფლების იდეით შედუღებულნი 5.000 ყრმა ქართველნი სისხლითაც შედუღდენ.

„თეთრი გიორგი" ნაზიარებია მათი იდეით.

„თეთრი გიორგი" მირონ-ცხებულია მათი სისხლით.

„თეთრი გიორგი" გაათავისუფლებს ეროვნულ საფლავს.

იდიდე საქართველოვ!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა «თეთრიგიორგი»-ს დამფუძნებელი კრება

---

ახალგაზრდა ქართველო პატრიოტებო!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი" მოუწოდებს ყველა ქართველ პატრიოტს, ყველას, ვინც თავს ახალგაზრდათ გრძნობს განურჩევლათ მისი ადგილ-ყოფნისა, საქართველოშია თუ მის გარეთ; ყველა მათ, ვისთვისაც სამშობლოს უბედობა თავის უბედურებათ მიაჩნია, ერის კეთილდღეობა თავის ბედნიერებათ; ყველა მათ, ვინც ეროვნულ იდეას მაღლა აყენებს პარტიულ ინტერესებზე; მათ, ვინც სამუდამოთ დაგმობს პირად ანგარიშებს და სამშობლოს თავისუფლებას შეეწირება,—

შემოკრბეს საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი"-ს გარშემო. შევქმნათ ეროვნული ერთობა, ერთი სხეული, შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, რომ სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღლილნი და უიმედონი გავამხნეოთ, დაღუპულნი შევცვალოთ და ქართველ ერთან ამ სისხლიან დღეებში ახალგაზრდული ბრძოლის ცეცხლი მივიტანოთ.

სიკვდილი ან თავისუფალი საქართველო!

ჩვენ მოუწოდებთ ყველა ახალგაზრდა პატრიოტს, ვისაც სწამს „თეთრი გიორგი"-ს გზა, იდეები, ვინც იზიარებს ჩვენ დეკლარაციის პრინციპებს გაერთიანდით ჩვენთან ერთად. დაარსეთ ადგილობრივ ასეთი პატრიოტული კავშირები, დაგვიკავშირდით; მიიღეთ ჩვენგან ცნობები რომ გააზროვნებული თანამშრომლობით ეროვნულ იდეას უკეთ ვემსახუროთ.

მისამართი: 61, rue Madame, Paris VI. Jeunesse géorgienne „Thethri Guiorgui".

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი".

პარიზი 15-VI-1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თეთრი გალერეის“ მასპინძელი



სულ ახლახანს ქალაქში კიდევ ერთი აფიშა გაჩნდა, რომელიც ფერწერის მოყვარულთ „თეთრ გალერეაში“ ახალგაზრდა შემოქმედის **ზურა ქურჩიშვილის** პირველ პერსონალურ გამოფენაზე ეპატიჟებოდა.

ზურა თვითნასწავლი მხატვარია. ადრე არც უფიქრია სერიოზულად მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის, იგი ხომ მუსიკოსია, — იტაცებს ჯაზი.

დარბაზში გამოფენილი ნახატები ერთი შეხედვით თითქოს წააგავს ერთმანეთს, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, ეს სულ სხვადასხვა ტილოებია, სადაც, ყოველგვარი აქსესუარებს მოკლებული კომპოზიციები თავისუფლად თავსდებიან მათთვის განკუთვნილ არეში. ავტორს მთავარი აქცენტი ობიექტის სულიერ სამყაროზე გადააქვს, რასაც აღწევს მოიისფრო, წითელი და რუხნაცრისფერი ტონებით. ექსპოზიცია მხატვრის დახვეწილ გემოვნებაზე, ინტელექტსა და პროფესიისადმი სერიოზულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

— ამ მხატვრის შემოქმედება არავის გავლენას არ განიცდის, — გვეუბნება მხატვარი რეზო ტალახაძე, — ზურა, მართალია პროფესიონალი მხატვარი არ არის, მაგრამ შესრულების სტილით და სამყაროს აღქმის უნარით არავის ჩამოუვარდება, აქვს საკუთარი ხელწერა. ერთი შეხედვით გვაოცებს ზოგიერთ ტილოზე ფერების სიმკვეთრე, მაგრამ ეს ფერები ისე ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს, რომ მაყურებელს ესთეტიურ და სულიერ სიამოვნებას ანიჭებენ.

ნამუშევრების დათვალიერებისას მნახველს უთუოდ აღეძრება კითხვა: მაინც რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ზურა ქურჩიშვილის ნახატები?

— კონკრეტულად ვერ ვიტყვი, რა ჰქვია ასეთ ნამუშევარს, — ამბობს საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ იაშვილი,—ალბათ, ეს სტილი პრიმიტივიზმისკენ უფრო იხრება, მაგრამ ერთი რამ ცხადია—საკმაოდ პერსპექტიული მხატვარი მოდის. ფერები ჰარმონიულია, ასე ვთქვათ, „დამჯდარი“. ზოგიერთ ნახატს ღრმა ფილოსოფიური, მისტიკური ელფერიც კი დაჰკრავს. ალბათ, შეამჩნევდით, ზურას ნამუშევრები დიდი ზომის ტილოებს წარმოადგენენ, ამასთან, ზოგიერთი ნახატი თემატურად და ჟანრობრივად ისე თამამადაა შესრულებული რომ გამოცდილ მხატვარსაც კი გაუჭირდებოდა ასეთი გადაწყვეტა. ზურასთან ერთი რამ აუცილებლად იგრძნობა — ეს არის ჭეშმარიტების მაძიებელი, მეოცნებე სული.



დამთვალიერებელთა წინაშე წარდგენილია ზურა ქურჩიშვილის მხოლოდ რამოდენიმე ნახატი, ნამუშევრების უმეტესობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშია გაგზავნილი გამოფენაზე. საქმე იმაში გახლავთ, რომ შემოქმედებითმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ „სინთეზი-88“ და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ერთობლივმა ფირმამ „მაზოვექსმა“ დასავლეთ ბერლინში მოაწყო თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, რომელზედაც წარმოდგენილია ზურაბ ქურჩიშვილის ათი ნახატი. ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებმა დიდი წარმატება მოიპოვა და ყველაზე ძვირადაც შეფასდა. რამდენიმე ტილო უკვე შეისყიდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის კერძო კოლექციონერებმა.

ამჟამად ზურა მუშაობს მომავალი გამოფენისთვის, რომელიც სულ მალე მოეწყობა კანადაში.

**ნაია ჯელაძე,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

**სურათზე: ზურა ქურჩიშვილის ნამუშევრები.**

**მალხაზ დათუკიშვილის ფოტოები.**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა. სპეციალურად „ახალგაზრდა ივერიელისათვის“).**

# ყოჩაღ, მსაჯებო!

განვლილი ტურის შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა ორი შეხვედრა იყო: „ბათუმი“ — „ქუთაისი“ და „იბერია“ — „ცხუმი“. მაგრამ, არანაკლებ ინტერესს კიდევ ერთი მატჩი იწვევდა, რომელშიც გალის „მზიურს“ ხობის „კოლხეთთან“ უნდა ესპარეზა. საქმე ის არის, რომ მეზობელი რაიონების ამ ორი გუნდების შეხვედრებს ყოველთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და ამას სხვადასხვა ფაქტორებიც დაემატა, რომელმაც უფრო დაძაბა მატჩისწინა სიტუაცია. მთელი დღის განმავლობაში გალში სხვა სალაპარაკო თემა არც იყო. გუნდის ხელმძღვანელები, რაიონის არაფორმალური გაერთიანებათა წარმომადგენლები, ფეხბურთის რიგითი გულშემატკივრები და სპორტკომიტეტის წარმომადგენლები — ყველა ზემოთ ჩამოთვლილებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს თავიანთი გულისტკივილი, რომ ბოლო ორ შეხვედრაში „ოდიშთან“ და „შევარდენი — 1906“-თან მსაჯობაც მეტად ტენდენციური და მიკერძოებული აღმოჩნდა მათს საწინააღმდეგოდ. მატჩის წინ ერთი საათით ადრე კი გალის ცენტრალურ სტადიონზე ტევა არ იყო. მრავლად იყვნენ გულშემატკივრები ხობიდანაც, რომლებიც თავიანთ საყვარელ გუნდს გამოჰყვნენ მხარდასაჭერად. შესამჩნევად ღელავდნენ მატჩის წინ შეხვედრის არბიტრებიც — მერაბ მალაღურაძე, ოთარ გუნთაძე და ალექსანდრე შილაკაძე, მაგრამ თუ როგორ გაართვეს რთულ და უშეღავათო ბრძოლაში ახალგაზრდა მსაჯთა ბრიგადამ, ამაზე ცოტა ქვემოთ.

...შეხვედრა გუნდებმა ნელ ტემპში დაიწყეს და ბურთი უმთავრესად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. პირველი შეტევა კი გალელებმა წამოიწყეს, როცა მათმა კაპიტანმა, 26 წლის ცენტრალურმა მცველმა გოჩა ფარფალიამ თავისი საჯარიმო მოედნიდან ისეთი „სლალომი“ ჩაატარა, რომ კარგი დრიბლინგით სამი მეტოქე უკან ჩამოიტოვა, შემდეგ „კედელი“ გაათამაშა თანაგუნდელ ალკაზ ქანთარიასთან და დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი სულ ოდნავ ასცდა კარს. სამწუხაროდ, შეხვედრის პირველ ნახევარში ეს იყო პირველი და უკანასკნელი დარტყმა კარის მიმართულებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურთი ხშირად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და რაიმე სერიოზული საფრთხე არც ერთი გუნდის კართან არც შექმნილა. გალელთა რიგებში თითქმის ყველა შეტევა მარცხენა ფრთიდან იწყებოდა, სადაც აქტიურობდნენ ნახევარმცველი დავით ჩხეტია და გამოცდილი ფორვარდი ალკაზ ქანთარია. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელს, მიუხედავად ასაკისა (იგი 36 წლისაა!) დღემდე არ დაუკარგავს შესანიშნავი სპრინტერული თვისებები. რაც შეეხება მის ახალგაზრდა პარტნიორს თავდასხმის ხაზზე — 20 წლის გელა გაბისონიას, მიუხედავად საკმაოდ აქტიურობისა, ავადმყოფობის გამო მთლიანად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ასევე ნატკენი ფეხით თამაშობდა მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გოჩა ფარფალია, რომლის აკადემიურმა თამაშმა არაერთი ტაში დაიმსახურა მაყურებელთა შორის. ხობელთა გუნდს კი ასევე ტრავმის გამო ორი ძირითადი ფეხბურთელი აკლდათ: ნახევარმცველი ირაკლი კალუძა და სახიფათო ფორვარდი მამუკა ქვილითაია. „კოლხეთის“ შემადგენლობაში წინა ხაზზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ: გუნდის თავი ენუქი თევზაძე და ზაზა ბაკურაძე.

მეორე ტაიმი ორთავე გუნდმა მაღალ ტემპში დაიწყო, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტები კვლავ არა და არ სჩანდა... ხობელთა რიგებში გააქტიურდა მარჯვენა მცველი გაიოზ ჯეჯელავა და უკანდახეული ცენტრალური ნახევარმცველი მერაბ კაციტაძე, რომელიც ცდილობდა თანაგუნდელები გრძელი პასებით გაეყვანა გარღვევებზე. გალელთა შორის კი შეტევის ორგანიზატორი უაღრესად ტექნიკური ფეხბურთელი კობა ხარჩილავა გახლდათ. ტერიტორიული უპირატესობა „მზიურის“ მხარეს იყო, მაგრამ ხობელები საკმაოდ ორგანიზებულად იცავდნენ კარს და ორჯერ ისეთი მწვავე კონტრშეტევაც განახორციელეს, რომ მხოლოდ სასწაულმა გადაარჩინა „მზიურის“ კარი აშკარა უსიამოვნებას. ჯერ იყო და 18 წლის ელდარ გვასალია ყველასათვის და, ალბათ, თავისთვისაც მოულოდნელად პირდაპირ მეკარის წინ აღმოჩნდა ბურთიანად, მაგრამ ეს „საჩუქარი“ ვერ გამოიყენა. ორი წუთის შემდეგ კი მარჯვენა ფლანგიდან ზაზა ბაკურაძე გავიდა პირდაპირ გალელთა მეკარე გიორგი მაკასარაშვილთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავგანწირული თამაშით ბურთი მოიგერია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბოლო ათი წუთი ხობელთა უპირატესობით წარიმართა, რაც ალბათ, ჩვენი აზრით, მათი უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით იყო განპირობებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დაძაბულ შეხვედრას ახალგაზრდა მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა მერაბ მალაღურაძის მეთაურობით. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ და რაც მთავარია, პროფესიონალურად გაართვეს თავი ამ რთულ მისიას. არც ორივე გუნდის ფეხბურთელებს და მათ ხელმძღვანელებს, გულშემატკივრებს, არავის პრეტენზია მათ მიმართ არ გამოუხატია, პირიქით, ყველმა მადლობა გადაუხადა...

ალბათ, ამიტომ შეაფასა მათი მსაჯობა „ფრიადზე“ მატჩის კომისარმა, ქართული, მსაჯთა კორპუსის ერთ-ერთმა ვეტერანმა ზურაბ თოდაძემ. რა თქმა უნდა, მსაჯობაზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ ორივე გუნდის ფეხბურთელებმაც თავიანთი კორექტული თამაშით აშკარად ხელი შეუწყვეს მთლიანად შეხვედრის ნორმალურად წარმართვას. მხოლოდ ერთხელ, მატჩის მიწურულს დასჭირდა მთავარ მსაჯს ყვითელი ბარათის ჩვენება. გალელთა ერთ-ერთი სახიფათო შეტევისას ხობელ დავით რუხაძეს ისღა დარჩენოდა, რომ ხელით შეეჩერებინა ბურთი... ჯარიმა გალელთა მარჯვენა მცველმა კობა კვეკვესკირმა შეასრულა და თანაც მეტად ეფექტურად, მაგრამ ბურთი სულ ოდნავ ასცდა კარს და ეს იყო ბოლო მომენტი ამ შეხვედრაში, რომლის ანგარიშიც 0:0 რეალურად ასახავდა ძალთა თანაფარდობას. ამაში ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელი, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეთოდური, სამედიცინო და ნაკრები გუნდების განყოფილების გამგე რამაზ შენგელიაც დაგვეთანხმა, რომელიც ეროვნული ნაკრების კანდიდატების შესარჩევად იყო ჩამოსული გალში. გუნდებმა კი შემდეგი შემადგენლობებით იასპარეზეს:

**„მზიური“: მაკასარაშვილი, კ. კვეკვესკირი, ფარფალია (ა. კვეკვესკირი), დ. ლურწკაია, ე. ხურცილავა, გაბისონია, კაკავა, ეთერია (თ. ყოლბაია), დ. ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.**

**„კოლხეთი“: ბერაძე, ჯეჯელავა, კაციტაძე, მ. ხურცილავა, ხიჭინავა, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, გვასალია, თევზაძე, ჭიჭინაძე.**

**გია ტუხაშვილი,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი**

**IX ტურის სხვა შეხვედრები:**
**„გორდა“ — „ამირანი“ 1:0;**
**„ბათუმი“ — „ქუთაისი“ 1:1;**
**„იბერია“ — ცხუმი“ 1:1;**
**„გურია“ — „მერცხალი“ 2:0;**
**„კოლხეთი — 1913“ — „ოდიში“ 0:0;**
**„დილა“ — „ლიახვი“ 7:1;**
**„ივერია“ — „შევარდენი — 1906“ 2:0;**
**„ხანავარდო“ — „სამგურალი“ 0:0.**

**საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო**

# თეატრალური ინსტიტუტი

**აცხადებს მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

**(სწავლების ფორმა — დღის დასწრებული და დაუსწრებელი) ყველა სპეციალობაზე მიღება მიმდინარეობს ქართულ სექტორზე**

**დღის დასწრებული**

მსახიობის ხელოვნება.

**დრამატული თეატრისა და კინოს, მუსიკალური თეატრის მსახიობის სპეციალობაზე** გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები: ქალები — 21 წლის ასაკამდე (ჩათვლით), ხოლო ვაჟები — 23 წლის ასაკამდე (ჩათვლით). აღნიშნულ სპეციალობაზე შემსვლელნი გამოცდებზე დაიშვებიან შერჩევითი ტურების გავლის შემდეგ. **ტურები დაიწყება 20 ივნისს.**

გამოცდები ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში: **I. დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობაზე:** 1. მსახიობის ოსტატობა; 2. გასაუბრება; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია;

**II. მუსიკალური თეატრის მსახიობის სპეციალობაზე:** 1. ვოკალი (2 ან 3 მუსიკალური ნაწარმოების შესრულება); 2. მსახიობის ოსტატობა; 3. გასაუბრება; 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია;

**III. თეატრმცოდნეობის სპეციალობაზე:** 1. სპეციალობაში — წერა; 2. გასაუბრება; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი); 4. საქართველოს ისტორია;

**IV. კინოეკონომისტის (მენეჯერის) სპეციალობაზე:** 1. მათემატიკა (წერა); 2. გასაუბრება; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია;

**V. კინოსარეჟისორო სპეციალობაზე (მხატვრული კინოს განხრით)*** 1. სპეციალობა — წერა; 2. გასაუბრება; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია;

**VI. კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტი.**** 1. გასაუბრება; 2. სპეციალობა-პრაქტიკული; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია;

**დაუსწრებელი განყოფილება**

**VII. კინოეკონომისტის (მენეჯერი) სპეციალობაზე:** 1. მათემატიკა (წერა); 2. გასაუბრება; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია:

**VIII. ხმის რეჟისორი (ხმის კინო და ტელეოპერატორის განხრით):** 1. გამოცდა სპეციალობაში (სმენა, რიტმი, აკუსტიკა, მუსიკალური ანბანი); 2. გასაუბრება; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია;

**IX. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მხატვრული თვითმოქმედების ორგანიზატორ-მეთოდისტის სპეციალობაზე:** 1. გასაუბრება; 2. სპეციალობა-პრაქტიკუმი; 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 4. საქართველოს ისტორია.

კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტის დაუსწრებელ სპეციალობებზე საკონკურსოდ დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ პროფილით მუშაობის ერთი წლის სტაჟი და დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი (უკანასკნელი სამი წელი).

აბიტურიენტმა განცხადება უნდა შეიტანოს რექტორის სახელზე, თან დაურთოს საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 096-უ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), 6 ფოტოსურათი ზომით 3/4, პირადად წარმოადგენს პასპორტს. განცხადების მიღება ყველა სპეციალობაზე იწყება 1 ივნისიდან 4 ივლისამდე (ჩათვლით) დღის 2 საათიდან 5 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

**მისაღები გამოცდები დაიწყება 6 ივლისს (რუსთაველის გამზირი № 19) ტელ: 98-30-73.**

კინორეჟისურის სპეციალობაზე შემსვლელმა უნდა გაიაროს წინასწარი შესარჩევი კონკურსი. 25 ივნისამდე უნდა წარმოადგინოს ნარკვევი რომელიმე მნიშვნელოვან შემთხვევაზე, აგრეთვე წერილობით უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე: რატომ გადაწყვიტა გახდეს მხატვრული კინოს რეჟისორი. კონკურსზე უნდა წარმოადგინოს სხვა ნამუშევრები (ნახატი, ფოტოსურათები, სტატიები, კინომოყვარულთა ფილმი და სხვა თუკი ასეთი აქვს).

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ საინგილოდან.

---

პარასკევს, 11 მაისს დაიკარგა ასოციაცია „ეროვნული თანხმობის“ ოფიციალური მრგვალი ბეჭედი. პოვნის შემთხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგ ნომრებზე — 96-55-86, 23-11-89.

---

**რედაქტორი**
**მერაბ გალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ,კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.
უე 00268